ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 46 (1331)

20-26 ნოემბერი, 1992 წ.

## ერთი საშინელი ტრაგედიის გამო

ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს ტელევიზიამ გადასცა ერთი შემაძრწუნებელი ფაქტი. ჯერ აჩვენეს ვინმე მალხაზ ომარის ძე ჩაჩუა, რომელმაც ავტომატური იარაღით დახოცა ცოლ-ქმარი და დაჭრა მათი ქალიშვილი. ამის შემდეგ კი გამოაცხადეს, რომ მკვლელი მილიციის თანამშრომლებს გამოსტაცა მოსახლეობამ და ჩაქოლა იგი.

ჩვენ დავინტერესდით ამ შემთხვევით და ვცადეთ გაგვერკვია ამ ფაქტთან დაკავშირებული საკითხები. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა მოგვაწოდა შედეგი ინფორმაცია: 13 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამძებროს სამმართველოს და ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მალხაზ ომარის ძე ჩაჩუა, დროებით უმუშევარი, რომელმაც 13 ნოემბერს ავტომატური იარაღით შეიარაღებულ თავს დაესხა ოცხელის ქ. №41-ში მცხოვრებ ასათიანების ოჯახს და ადგილზე მოკლა ფირუზ დავითის ძე ასათიანი, ელიკო გიორგის ასული ასათიანი, ხელის არეში დაჭრა ნინო ფირუზის ასული ასათიანი. როცა დაკავებული ჩაჩუა სიმთვრალის ხარისხის დასადგენად ნარკოლოგიურ დისპანსერში გადაჰყავდათ, პოლიციელებს გზა გადაუკეტეს ოცხელის ქუჩის მაცხოვრებლებმა, გაიტაცეს მალხაზ ომარის ძე ჩაჩუა და შემთხვევის ადგილას ჩაქოლეს.

და აი, რა გვითხრეს ასათიანების ოჯახის მეზობლებმა: მალხაზ ჩაჩუა და მისი ძმა გენადი ჩაჩუა ირიცხებოდნენ სამხედრო ფორმირება „ლეგიონში". გენადი ჩაჩუამ ამ რამდენიმე თვის წინათ ცოლად მოიყვანა ნინო ფირუზის ასული ასათიანი. ქორწინება მოხდარა მშობლებთან შეუთანხმებლად, (მოტაცებით). ქორწინების შემდეგ გენადი ჩაჩუა აფხაზეთში გაემგზავრა, მისი მეუღლე კი მშობლებმა თავიანთ სახლში გადაიყვანეს. აფხაზეთიდან შვებულებით ჩამოსული გენადი ჩაჩუა ცოლის წამოსაყვანად მის მშობლებს ესტუმრა და როცა მშობლებმა უარით გამოისტუმრეს, საკუთარ სახლში დაბრუნებულს თვითმკვლელობა უცდია. სწორედ ამას მოჰყვა მალხაზ ჩაჩუას მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაული. თუმცა ტრაგედიის დასასრულად არ შეიძლება მხოლოდ მისი ჩაქოლვა ჩაითვალოს. ამ შემთხვევამ კიდევ რამდენი ადამიანი აქცია მკვლელად?

ამ ბოლო დროს უკვე მერამდენედ გვესმის ადამიანის ჩაქოლვის შესახებ. გასაგებია, რომ ხალხის ამგვარი კანონსაწინააღმდეგო, ანტიადამიანური გადაწყვეტილება ნაკარნახევია იმ ნაკლოვანებებით, რაც შეინიშნება სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში. ხშირად გვსმენია, რომ სათანადოდ არ ისჯება ზოგიერთი დამნაშავე. არის შემთხვევები, როცა უკვე დაკავებული ბოროტმოქმედი გაუთავისუფლებიათ მათი „მფარველების" ზემოქმედებით. და ასეთ „მფარველად" დღეს შეიძლება რიგითი გვარდიელიც კი მოგვევლინოს, მაგრამ ისიც ფაქტია როგორი მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს სახალხო განაჩენს.

დაბოლოს, მოვითხოვთ, რომ კანონის უზენაესობა განხორციელდეს როგორც დამნაშავეთა წინააღმდეგ, ასევე სამართლდამცავი სამსახურებისთვისაც. სამათლდამცავი ორგანოების ვალია და უნდა უზრუნველყონ, როგორც დამნაშავის დაკავება, ასევე მისი უსაფრთხოება სასამართლოს განაჩენამდე.

ვახტანგ კომახიძე

## დღეს ნომერში:

„რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ახალ ფაზაში გადავიდა, რომლის განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა გახდეს ურთიერთობა ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის და არა ცენტრსა და კოლონიას შორის, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული".

— მიუთითებს **ა. ვარაზაშვილი** მე-2 გვერდზე დაბეჭდილ სტატიაში

**«რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი»**

თუ რატომ არ არის გაზეთი „საქართველო" 1993 წლისათვის ხელმოსაწერ ჟურნალ-გაზეთების კატალოგში, ამის შესახებ შეიტყობთ **მე-3** გვერდზე დასტამბული მასალიდან

**„აი, მიზეზი..."**

გიორგი სააკაძის ფენომენზე, მის ადგილზე საქართველოს ისტორიაში — საუბრობს **ჯანსუღ ღვინჯილია მე-4 — მე-5** გვერდებზე დაბეჭდილ პოლემიკურ წერილში

**„უმადურობის მეხსიერება"**

## რა ჰქვია აფხაზეთის დედაქალაქს?

როგორ თუ რა ჰქვია, — ცხუმი, სუხუმი, სოხუმი და აფხაზურად, კიდევ, აკუაო, ჩამომითვლის ზოგიერთი მკითხველი, განსაკუთრებით კი ის, ვინც რუსეთის ტელევიზიით მხოლოდ „მარიანას" უყურებს, მაგრამ ასე არ ყოფილა საქმე. თუ რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთ საინფორმაციო გადაცემას დავუჯერებთ, „აფხაზეთის ამჟამინდელი დედაქალაქი" ყოფილა... გუდაუტა.

ისე მოხდა, რომ ყველა დროისა და ხალხის უდიდესმა აფსუამ ქართული სოხუმი ვერ გააკუა, გუდა-ნაბადი აიკრიფა, გუდაუთაში დაბრძანდა მორჭმით და, ცხადია, რუსი ჟურნალისტებისათვის ისაა აფხაზეთის დედაქალაქი, სადაც არძინბა დაჯდება. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, მოსალოდნელია, აფხეზეთის დედაქალაქი სულაც მოსკოვი გახდეს.

კი, შესთავაზა საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზთა ლიდერებს, სოხუმში ჩამობრძანდით და აქედან მართეთ აფხაზეთი, მაგრამ ორგანიზაცია „სოიუზის" აპოლოგეტებს ულენინისძეგლო ქალაქში შემოიტყუებ? ასეც რომ მოხდეს, მერე როგორ დაუშინონ ყუმბარები ქალაქს, რომელშიც თავად ცხოვრობენ? ეს ხომ აშკარად არაჰუმანური აქტი იქნება საკუთარი თავის მიმართ.

ჰუმანურობაზე გამახსენდა: ამას წინათ აფხაზთა ტყვეობიდან გამოხსნილი კაპიტანი გივი ფხოველიშვილი გვესტუმრა თბილისში. მთაწმინდაზე, გალაკტიონ ცაგარეიშვილის სტუმართმოყვარე ოჯახმა გაგვიშალა სუფრა სიძის თანამებრძოლებს. ბატონი გალაკტიონი ქართველ ტყვეთა გმირული აჯანყების მონაწილეა ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე. როგორ გეპყრობოდნენ ტყვეობაში-მეთქი, გივის ვკითხე. წყალს მაშინ გვასმევდნენ, როცა ბატონი ალექსანდრე ანქვაბი გამოჩნდებოდა, ცემა და გინება კი ნამდვილად არ გვაკლდაო, მიპასუხა. ბატონო გალაკტიონ, გერმანელებსაც ამ დღეში ჰყავდით-მეთქი? — ვკითხე მასპინძელს. რას ამბობთ, გერმანელებს მცირე დანაშაულზეც კი შეეძლოთ დავეხვრიტეთ, მაგრამ შეურაცხყოფას არ გვაკადრებდნენო...

რუსეთის საინფორმაციო საშუალებები იმასაც აცხადებენ, აფხაზეთის საკითხის გადასაწყვეტად კიდევ ერთი უმაღლესი დონის შეხვედრა და ხელშეკრულებაა საჭიროო. თითქოს, სამი სექტემბრის ხელშეკრულების ყველა პუნქტი შესრულდა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ახალი ნაბიჯია გადასადგმელი...

თუმცა, პოლიტიკოსები თავის საქმეს მოუვლიან, ჩვენ კი ვისხდეთ და ვარკვიოთ: თუ აფხაზეთის დედაქალაქი გუდაუტია, ვისი დედაქალაქია სოხუმი? ან, თუ დედაქალაქობა ხელისუფლების მეთაურის გაადგილებით ენიჭება დასახელებულ პუნქტს, ხომ არ გვექნება საქართველოში დედაქალაქთა მთელი წყება: ბატუმ, ცხინვალ, ლანჩხუტ, ჩოჩხატ, მამატ...?

ილია ბარამიძე

# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ახალ ფაზაში გადავიდა, რომლის განმსაზღვრელი უნდა გახდეს ურთიერთობა ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის და არა ცენტრსა და კოლონიას შორის, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული.

რუსეთის დამოკიდებულება ყოფილი კოლონიებისადმი ცხადია ერთნაირი არ არის და აქ სტრატეგიული მიმართულების ჩამოყალიბებაში სხვადასხვა ფაქტორები თამაშობენ მთავარ როლს. თვითონ კოლონიების დამოკიდებულება ცენტრის მიმართ, კოლონიის გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სამხედრო დანიშნულება, კოლონიის ეკონომიკური სარგებლიანობა და სხვა მრავალი.

ამიტომ ბუნებრივია, რუსეთის პოლიტიკა მაქსიმალური დატვირთვით სწორედ იმ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკათა მიმართ არის მიმართული, რომელთა დათმობა, როგორც რუსეთში მიაჩნიათ, საგრძნობლად შეასუსტებს რუსეთის ინტერესებს და მის შემდგომ ძლიერებას მნიშვნელოვნად დააკნინებს. ამასთან მოსკოვი იძულებულია ანგარიში გაუწიოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულებას და მხოლოდ იარაღის ძალით გადაწყვიტოს ისეთი საკითხები, რომელსაც უარყოფითი გამოძახილი ექნებოდა, დაუფარავად ვერ ბედავს. რუსეთში ოფიციალურ ხელმძღვანელობას მაინც კარგად ესმის, რომ დასავლეთის ეკონომიკური, ფინანსური თუ ტექნოლოგიური დახმარების გარეშე ისინი თავს ვერ დააღწევენ იმ ურთულეს კრიზისს, რომელშიც საკუთარი ინიციატივით მოხვდნენ და მსოფლიოს ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიც მოახვედრეს. ამიტომ რუსეთი იძულებულია ყოფილი კოლონიების დამოუკიდებლობას ასეა თუ ისე შეურიგდეს და თან ყველაფერი ილონოს, რომ მათზე გარკვეული ზეგავლენა, ხოლო სადაც გაუვა სახეშეცვლილი ფორმით ყოფნაც კი შეინარჩუნოს.

ბალტიისპირეთში რუსეთს ე.წ. ინტერფრონტის შექმნა და იქ რუსულენოვანი მოსახლეობის, ფაქტიურად კი რუსების მეხუთე კოლონად გამოყენება ჩაუვარდა. აქ გადამწყვეტი როლი თვითონ ბალტიისპირელთა ერთსულოვნებამ და დასავლეთის მტკიცე პოზიციამ ითამაშა. რუსეთი იძულებულია შეურიგდეს ბალტიისპირეთის უკანმოუხედავად დაკარგვას. ვინაიდან არცერთ საკენკზე მათი წამოგება და ვერც „ესენგში" მათი შეტყუება ვერ მოხერხდა.

უკრაინის მიმართ, რომელიც „ესნგეს" შემადგენლობაში ყველაზე მეტ წინააღმდეგობას უწევს რუსეთს და ფაქტიურად შლის ამ მოჩვენებით კავშირს, ყირმის კოზირი იქნა გათამაშებული, მაგრამ რუსეთს აქაც ხელი მოეცარა, ვინაიდან უკრაინის საკმაოდ მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა.

აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართ მოსკოვი იყენებს ყარაბაღის პრობლემას და ხან ერთ, ხან მეორე მხარეს უქმნის იმის ილუზიას, რომ სწორედ მასთან ურთიერთობით შეიძლება ამ საკითხის მის სასარგებლოდ გადაწყვეტა.

შუა აზიის რესპუბლიკებში რუსეთს ჯერჯერობით დიდი გართულებები არა აქვს, აქ კვლავაც დიდია ე.წ. უფროსი ძმის ავტორიტეტი და როგორც ჩანს რუსული ორიენტაცია ამ რესპუბლიკებში კიდევ კარგა ხანს იარსებებს.

რაც შეეხება საქართველოს, რუსეთს მის მიმართ განსაკუთრებული ინტერსები ამოძრავებს. გარდა გეოპოლიტიკური მდგომარეობისა, რომელსაც ხშირად უსვამენ ხაზს, საქართველო თავისი ეკონომიკური პოტენციალითაც და სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებითაც იზიდავს რუსეთს და როგორც მისი სამხედრო სპეციალისტები აღნიშნავენ, კავკასიის მთებს იქით საჰაერო თავდაცვითი დანადგარების გადატანა რუსეთს ფაქტიურად უსპობს ახლო აღმოსავლეთის ეკრანს. ყოველივე ამასთან ერთად საქართველოს ბალტიისპირეთისაგან და სხვა არაერთი რესპუბლიკისაგან განსხვავებით ჩრდილოეთით აკრავს არარუსული ტერიტორიები, რომლის დათმობის რეალური საშიშროება მოსკოვს იმ წუთშივე დაუდგება, როგორც კი მისი ყოფნა საქართველოში დამთავრდება. ამიტომ აღნიშნული აიძულებს რუსეთს მაგრად ჩაკიდოს საქართველოს ხელი, რომ ამით მისი სამხრეთის საზღვრები გარკვეულწილად დაცულ იქნას და თან საკუთარი დაშლის გარდაუვალი საშიშროებაც აიცილოს თავიდან.

ამ ეტაპზე ძლიერი და სტაბილური საქართველო არ შედის რუსეთის ინტერესების სფეროში ვინაიდან ასეთი ვითარება სულ უფრო შეასუსტებს რუსეთის გავლენას საქართველოზე. არასტაბილური საქართველო, რომელიც ტერიტორიული დაქუცმაცებულობის საფრთხის წინაშე დგას და თვალი ამ საქმეში დახმარებისათვის ჩრდილოეთისაკენ გაურბის, არის სწორედ ის მდგომარეობა, რომელიც მისაღებია დღეს რუსეთის პოლიტიკისათვის საქართველოში. არბიტრისა და მომრიგებლის პოზა მოსკოვს აძლევს საშუალებას შეინარჩუნოს თავისი გავლენა საქართველოზე.ასე რომ, თუკი ყველა ამ მომენტს გავითვალისწინებთ გასაგები გახდება რუსეთის ის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომელსაც მოსკოვი მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ახორციელებს, მათ შორის ძალის გამოყენებითაც კი. ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს თუ რატომ არ ასრულებს რუსეთი 3 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამ ხელშეკრულების დადებაში შუამავალის როლის შესრულებით მოსკოვმა მსოფლიო საზოგადოების თვალში გაითამაშა პირუთვნელი მომრიგებლის როლი, სინამდვილეში კი, მეორე დღეიდან აფხაზ. ექსტრემისტებს აიარაღებს უახლესი იარაღით და თავიანთი სეპარატისტული საქმიანობისათვის გზას ულოცავს.

ძნელი მისახვედრი არ არის — მოსკოვში არძინბა ღრმად დაარწმუნეს იმაში, რომ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა სრულიადაც არ ნიშნავდა შეიარაღებულ ბრძოლაზე ხელის აღებას. თუ არა მოსკოვის ჩუმი თანხმობა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის იმედით არძინბა ხელშეკრულების დადების შემდეგ ასე ფართო მასშტაბის სამხედრო ოპერაციებს ვერ გაშლიდა. და თუ თავს არ მოვიტყუებთ, იმასაც უნდა მივხვდეთ, რომ ეს ბატონ პრეზიდენტის აშკარა წაყრუებითა და ხელისშეწყობით ხდება. ის რომ აფხაზთა წაქეზება პრეზიდენტის მოწინააღმდეგების მიერ არის ინსცენირებული, ის კეთილი სურვილია, რომლის ჩვენს მიერ დაჯერებაში ბატონ ბ. ელცინსაც არაფერი ექნება საწინააღმდეგო.

მაგრამ მაშინ რით ავხსნათ ის რომ ამ რამოდენიმე წლის წინ ჩვენ ცეცხლი დავუნთეთ რუსეთისაკენ ყვავილებით მიმავალ ჩვენს თანამემამულეებს და იქით შეღწევის ყველა გზა მოვუჭერით. მოსკოვს კი თანამედროვე სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი თავისი მოქალაქეები ვერ შეუკავებია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საბრძოლველად შეღწევისაგან. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ გვთვლის უცხო ქვეყნად. ფაქტები, რომ იტყვიან თვითონ ღაღადებენ სათქმელს.

გარდა იმისა, რომ იქმნება არასტაბილური მდგომარეობა საქართველოში, რაც ასე მისაღებია მოსკოვისათვის, რუსეთი ჩრ. კავკასიელთა საქართველოში შემოსვლისათვის ხელისშეწყობით მეორე კურდღელსაც იჭერს ერთდროულად.

საქმე იმაში გახლავთ, რომ რეალური საფრთხე ემუქრება თავად რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობას. მისი ავტონომიები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხადებენ თავს და ყველაფერს აკეთებენ რეალური სუვერენიტეტის მისაღწევად. რაშიც მათი მორალური მხარდამჭერია ის ისტორიული წარსული, რომელიც ამ ხალხებმა გაიარეს. თითოეულმა მათგანმა ჩინებულად იცის და მოსკოვშიც მშვენივრად უწყიან, რომ ჩრ. კავკასია, თათარსტანი და სხვა უზარმაზარი ტერიტორიები ისტორიულად ჩუდის ტბის გარშემო ჩამოყალიბებულ რუსებს არასოდეს ეკუთვნოდათ და ეს მიწები აქ დასახლებულ ხალხებთან ერთად არც თუ ისე შორეულ წარსულში მათ იარაღის ძალით დაიპყრეს. თუმცა თვითონ რუსები თავიანთ ისტორიაში კი წერენ ვანთავისუფლებდითო, მაგრამ ვისგან ან რისგან უპასუხოდ რჩება.

ისიც კარგად ცნობილია, რომ დღეს რუსეთისაგან თავის დაღწევისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობს ჩეჩნეთი, თუ გენერალი ჯოხარ დუდაევი არ თამაშობს და ის რუსეთის ხელისშეწყობით მოსული კაცი არ არის, ამ ეჭვებს ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული რუსეთ-ჩეჩნეთის ფინანსური ოპერაციები ბადებს, როდესაც ჩეჩნეთს მილიარდობით დოტაციას უფარავენ. მაშინ ჩეჩნეთსა და რუსეთს შორის სამხედრო კონფრონტაცია შორეული მომავლის საკითხი არ უნდა იყოს. ბუნებრივია სამხედრო თვალსაზრისით ჩეჩნეთს რუსეთისათვის დიდი წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია,, მაგრამ საქმეში უსათუოდ ჩაერევა მუსულმანური ფანატიზმი, ტერორიზმი და ბრძოლის სხვა ისეთი საშუალებები, რომელიც რუსეთის მხრიდან მსხვერპლსა და ზარალს შეუჩერებლად გაზრდის.

ასეთ შემთხვევაში რუსეთისათვის უაღრესად სასიამოვნო და მისაღები აღმოჩნდა ჩრ. კავკასიელ მებრძოლთა საქართველოში გადმოხვეწა და ვითომდა აფხაზთა „სამართლიანი" საქმისათვის თავის გაწირვა. საერთო მდგომარეობაში თუ რისთვის იხოცებიან ჩეჩნები და სხვა ჩრ. კავკასიელები საქართველოში რუსეთისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია რაც შეიძლება მეტი დაიხოცოს, რომ ამით მომავალში ნაკლები წინააღმდეგობა ქონდეს უშუალოდ მას. არადა იხოცება ჩრ. კავკასიელთა მთავარი დამკვრელი ძალა, ანუ ადამიანთა ის კატეგორია, რომელსაც პირველივე დაძახებაზე შეუძლია იარაღით ხელში გამოვიდეს.

ამის შემდეგ არ უნდა გვიკვირდეს რატომ იძლევა მოსკოვი რუსეთიდან ბოევიკების საქართველოში შემოღწევის საშუალებას.

სამწუხარო ის არის, რომ ისტორია მეორდება და რუსეთი ჩრ. კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცებას კვლავ ქართველთა სისხლისა და მსხვერპლის ფასად ცდილობს. თვითონ ჩრ. კავკასიაში კი, როგორც ჩანს ბრძოლის მიმართულება და მიზანი ჯერ კიდევ ბოლომდე არა აქვთ გათვითცნობიერებული, ხოლო როდესაც ამას მიხვდებიან,შეიძლება გვიანი იყოს.

საქართველოს იმდენი ძალა და ენერგია შესწევს, რომ დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა და არც შემდგომში დაუშვას მისი ხელყოფის ცდები უშუალოდ, რომ იტყვიან შინაურებთან დამოკიდებულებაში. ამის საშუალებას კი ჩვენ გვირთულებენ სწორედ გარედან შემოგზავნილი, დაქირავებული უცხო ძალებით, რომლის გამკლავებაც საქართველოს ასევე ძალუძს. მაგრამ მაშინ საქმეში ერევა რუსეთის არმია, რომელიც ვითომ ნეიტრალიტეტს იცავს, სინამდვილეში კი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მსხვერპლი ორივე მხარეს რაც შეიძლება მეტი იყოს და ამის მიღწევას ახერხებს კიდეც.

ამიტომ საქართველოს ხელისუფლების კატეგორიულ მოთხოვნას გაყვანილ იქნას კონფლიქტის ზონიდან რუსეთის არმიის შეიარაღებული ნაწილები, რეალური საფუძველი აქვს, თუმცა ამ მოთხოვნას არავინ ასრულებს. ის კი არა აღნიშნული ნაწილები უშუალოდ მოსკოვის დაქვემდებარებაში გადაიყვანეს, რაც აშკარად მიუთითებს მათი მისიის არამართლზომიერებაზე.

ამ სიტუაციაში ბუნებრივია, დგება საკითხი რუსეთის საოკუპაციო ჯარის მთლიანად გაყვანაზე საქართველოდან, რომლის მიმართ ცალსახა დამოკიდებულება თვითონ ჩვენშიც არ არის . საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვს ამ ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას მაშინ, როდესაც ოფიციალურ ხელისუფლებას ამ საკითხში ცოტა არ იყოს განსხვავებული პოზიცია უჭირავს. კერძოდ ამ ბოლო დროს გაკეთებული გამონათქვამებიდან ირკვევა, რომ ჩვენ რეალური საფრთხე ჰაერიდან შემოტევისა შეიძლება შეგვექმნას ჩრ. კავკასიიდან, რომლის მოგერიების ტექნიკური და სხვა აუცილებელი პირობები დღეისათვის ჩვენ არ გაგვაჩნია. ეს ტექნიკა რომც გადმოგვეცეს კიდეც ვერ გამოვიყენებთ სათანადო კადრების არ ყოლის გამო. აღნიშნული მდგომარეობა თავისთავად გასათვალისწინებელი მომენტია; ისიც გასათვალისწინებელია, რომ ათეული წლობით დაფუძნებულ არმიას თითის დაქნევით ვერ გაიყვან. თუმცა საკითხი, რომ საოკუპაციო ჯარმა რაც შეიძლება სწრაფად დატოვოს საქართველო, მიღწეულ უნდა იქნას, სხვას რომ თავი დავანებოთ, შემდეგ გარემოებათა გამო.

დასავლეთ თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ბალტიისპირეში რუსეთის არმიისაგან თავის დაღწევის ყველა ასპექტი კარგად იქნა შესწავლილი და მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს რაც შეიძლება სწრაფად მომხდარიყო და მოხდეს.

საქმე იმაში გახლავთ, — ჩვენ, რომ ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყანასთან გვქონდეს საქმე მაშინ მართლაც შეიძლება რუსეთის არმიის საქართველოში ყოფნის საკითხი წლობით გადაგვედო და ამ საქმეში არ გვეჩქარა.

მაგრამ ვინც რუსეთის ისტორიას გადახედავს და ამ ხალხის ნატურასაც თვალს გადაავლებს დარწმუნდება, რომ ეს არის გაუთავებელი ლტოლვა სხვა ხალხების დაპყრობისაკენ, გაუთავებელი ბუნტები და სისხლიანი ანგარიშსწორებები, რევოლუციები და გადატრიალებები — ეს სენი სამწუხაროდ ნაწილობრივ ჩვენც გადმოგვედო. რუსეთის სახელმწიფომ მთელი მისი ისტორიის მანძილზე, თემურ წყობილებას თუ არ ჩავთვლით, დემოკრატიული პრინციპების ჩანასახობრივ მდგომარეობამდე ძლივს მიაღწია. ხოლო ხალხი თავისი ნატურით ყოველთვის ახალი ბელადისა თუ დიქტატორის მომლოდინეა. ასეთი სიტუაცია ხვალ თუ ზეგ ისევ შეიძლება რუსეთს დაუდგეს. ჟირინოვსკები და მისი ჯურის ბელადები კვლავ ემზადებიან ხელისუფლებაში მოსასვლელად. მაშინ ე.წ. ცივილიზებული დამოკიდებულება რუსეთის არმიისადმი შეიძლება ტრაგედიად შემოგვიბრუნდეს, ხოლო შემდეგ მობოდიშება, ამას არ მოველოდითო, ვერაფერი შეღავათი იქნება. აკი ხაზს ვუსვამთ, ჩვენ რომ ცივილიზებულ ქვეყანასთან გვქონდეს საქმე, ყველაფერი შეიძლებოდა, ამიტომ უნდა გავაკეთოთ არჩევანი. საიდან გვემუქრება უფრო დიდი საფრთხე გროზნოდან თუ მოსკოვიდან, ვეცადოთ ახლა მაინც არ შევცდეთ.

ა. ვარაზაშვილი.

მე აფხაზეთის ომში შვილდაკარგული მამა ვარ. 46 წლის კაცს 21 წლის შვილი დამეღუპა. ჩემი შვილი ანდრია ჭანტურიძე ჩემი უფროსი შვილი იყო. საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მსახურობდა გერმანიაში, სადაც თავისი ოფიციალური მოთხოვნით წავიდა. იქ დაამთავრა უმცროს მეთაურთა სკოლა, იყო სერჟანტი, ტანკის მეთაური. ერთი წელი იმუშავა რაიონის განყოფილებაში და მათივე წარდგინებით წელს ჩააბარა და ჩაირიცხა პოლიციის

კურსანტი ვაჟა ტავაშვილი: „ჩვენი ბიჭები ალყაში მოიქციეს და იმათ მოსახმარებლად შევბრუნდით. მაშინ დამჭრეს, წარმოგიდგენიათ, ალყის გასარღვევად მივდიოდით და 6 ჭურვი მოგვცეს, ტყვია — წამალი არ არისო, მოკლედ, გაგვყიდეს, გვიღალატეს, თორემ გაგრას არ დავტოვებდით“. ამ ფაქტის მოწმეები ბევრია, რომლებიც ადასტურებენ, რომ ბიჭები დაიღუპნენ ღალატით და გამცემლობით. მას აქეთ გავიდა ორ თვეზე ცოტა მეტი და იქ დატრიალებული ტრა-

# გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

უმაღლეს აკადემიაში.

პირველი სექტემბრისათვის ოჯახში ველოდით, ასე დაიბარა. 30 აგვისტოს მკვდარი შვილი ჩამოგვისვენეს ოჯახში. იგი დაიღუპა გაგრის რაიონის სოფელ კოლხიდაში თავის 10 ამხანაგთან ერთად. ერთი შეხედვით აქ ჩვენი დღევანდელი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, საგანგაშო არაფერი უნდა იყოს. მეც კარგად მესმის, რომ ომი მსხვერპლის გარეშე არ არსებობს, სამშობლოს სჭირდებოდა ისეთი დამცველი, როგორიც ჩემი შვილი და მისი თანამებრძოლები იყვნენ. მაგრამ საქმე სულ სხვა რამეშია. კურსანტი ბიჭები თავის მასწავლებლებთან ერთად დაიღუპნენ ქართველი კაცის ღალატით, გამცემლობით, ორპირობით. სწორედ ამის გამო მუხანათურად დახოცეს ისინი ენით აუწერელი წამებით. აი რას ამბობს ამ ბრძოლის შესახებ

გედიის შესახებ სიმართლე არ თქმულა არსად. ჩვენ დაღუპულთა მშობლები თითქმის ყველა ერთხმად მოვითხოვთ, გაირკვეს, ვინ ხელმძღვანელობდა იქ საბრძოლო ოპერაციებს და ვინ იყვნენ ის მოღალატეები, ვისი მუხანათობითაც დაიღუპნენ ჩვენი შვილები. აგრეთვე გვაინტერესებს რა ზომები მიიღო ხელისუფლებამ მათ მიმართ? ამ საკითხზე რატომ არაფერს ამბობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი; პოლიციის უმაღლესი სკოლის აკადემია, რომელთაც მივმართეთ ჩვენ? რატომ არის ბედის ანაბარად მიტოვებული ხელისუფლების მიერ დაღუპული ბიჭების ოჯახები?

პატივისცემით
ვლადიმერ ჭანტურიძე

3.XI.92წ.

# კიდევ ერთი ძირძველი ქართული გვარი აღდგა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა არქიტექტურის დარგში საუკეთესოდ ცნო არქიტექტორთა ჯგუფი თბილისის სადგურის დაპროექტებისათვის. ესენი არიან: რევაზ არჩილის ძე ბაირამაშვილი, გივი შალვას ძე შავდია, ილია დიმიტრის ძე ყავლაშვილი, ალექსანდრე (ჯონდო) ვლასის ძე ჯიბლაძე — არქიტექტორები, და კონსტრუქტორი —მეიერ(შალვა) ვლადიმერის ძე გაზაშვილი (სიკვდილის შემდეგ).

აქვე ერთი საყურადღებო გარემოებაც გვინდა მოვახსენოთ მკითხველს, კერძოდ ის, რომ ბატონი რეზო ბაირამაშვილი წარმოშობით თარხნიშვილების გვარს-ერთ-ერთ ძირძველ ქართულ გვარს ეკუთვნის. მისი პაპის პაპა, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ბავშვი, ლეკიანობის დროს მოუტაციათ საინგილოდან და შამილთან მიუყვანიათ. რადგან იგი თავადიშვილი იყო, შამილმა თვითონ გაზარდა. მას ლეკებმა ბაირამა უწოდეს. მის შვილებს კი— ბაირამას შვილებს ეძახდნენ. შემდეგ ბედის უკუღმართობით სამშობლოს მოწყვეტილი მამულიშვილები კვლავ საინგილოს დაუბრუნდნენ. დღეს მათი შთამომავლები თბილისში ცხოვრობენ. ბატონმა რეზო ბაირამაშვილმა და მისმა ოჯახმა კი აღიდგინეს ისტორიული გვარი. ვუსურვოთ ბატონ რეზო თარხნიშვილსა და მის თანაავტორებს ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართული არქიტექტურის სასიკეთოდ.

# ქურდები ბნელ ღამეს უფრთხიან

როგორც ირკვევა, საქართველოში ამ ბოლო დროს უნიკალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე — დანაშაულობათა უმრავლესობა ხდება დღისით, მზისით. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ენერგეტიკული კრიზისის გამო დასახლებული უბნები ისეა ღამით ჩაბნელებული, თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი. თანაც, ბნელში მოქმედება მომეტებულ საფრთხესთან არის დაკავშირებული. არ არის გამორიცხული, რომ ბოროტგანმზრახველი იქეთ გაქურდონ შიმშილითა და სიდუხჭირით თავზეხელაღებულმა ადამიანებმა.

ასე რომ, ქართულ სიტყვიერებაში გავრცელებული გამოთქმა „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“, დღეიდან შეიძლება ახალი რედაქციით ჩამოვაყალიბოთ: „ქურდს რა უნდა და ნათელი დღეო“.

პატივცემულო რედაქცია!

ჩვენი ოჯახის ყველა წევრი სისტემატურად ვკითხულობათ თქვენ გაზეთს, პატივს ვცემთ მას და გამოწერილიც გვაქვს. ჩვენ დარწმუნებული ვართ თქვენს ჟურნალისტურ ობიექტურობასა და სამართლიანობაში.

გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით, სად და როგორ გამოვიწეროთ გაზეთი „საქართველო“. 1993 წლის კატალოგში მას ვერ ვხედავთ.

პატივისცემით
ზაალ ბერიძე
ინჟინერი,
ოზურგეთი.

**რედაქციისაგან:**

უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვწირავთ ბატონ ზაალ ბერიძეს კეთილი სიტყვებისა და ჩვენი გაზეთის ერთგულებისათვის.

საერთოდ კი, ამგვარ წერილებს, სად და როგორ გამოვიწეროთ „საქართველო“— ო, საკმაოდ ვიღებთ. გვირეკავენ ტელეფონითაც.

„საქართველო“ რომ კატალოგში არაა, ეს ჩვენი მიზეზითაა.

ამ მიზეზს თავისი მიზეზები აქვს.

* * *

რამდენიმე ხნის წინ კავშირგაბმულობის სამინისტროდან დაგვირეკეს და თავაზიანად მოგვახსენეს, 1993 წლისათვის ხელმოსაწერ ჟურნალ-გაზეთების კატალოგში უნდა შევიტანოთ თქვენი

და ნურც იკითხავ, რატომ, რისთვის გართმევ ფულს, ისიც საკმარისია, რომ ასე ვინებე მე, კავშირგაბმულობის სამინისტრომ! წესსაც მე ვიგონებ და მევე ვანხორციელებ!

* * *

და მაინც: რატომ რისთვის?! რატომაა, რომ ეს სამინისტრო მუდამ ასე თავისი

კავშირგაუბმელობის სამინისტროს გზას, იმათ შეეხმიანეთ, იმათ ხელშია, იმათ ევალებათ ხელმომწერლებისთვის გაზეთების მიტანის საქმე, იმათ უნდა გიშველონო...

* * *

გავა მცირე ხანი და შემოგვეხმიანებიან დაკვალიანებული ხელმომწერლები,

# აი, მიზეზი...

გაზეთი და თუ შეიძლება, გვიბრძანეთ რა ეღირება, რა ტირაჟით და პერიოდულობით გამოვაო.

გაკვირვებაც ვერ მოვასწარით (ასეთ, უჩვეულო, თავაზიან ზარს ნამდვილად არ ველოდით კავშირგაბმულობის სამინისტროდან), რომ ცივი წყალი გადაგვასხეს, ჰო, მართლა, კატალოგში რომ შეგიტანოთ, ხუთი ათასი (5000!) მანეთის გადახდა მოგიწევთო.

ჩვენს შეცხადებაზე, რატომ, რისთვის, სადაური წესიაო, — სადაური წესია და აქაური წესიაო, — ქალბატონ ასინეთასავით ნამდვილად არ მოუჭრიათ, ისევ თავაზიანად(!) დაგვამშვიდეს, ნუ ღელავთ, მარტო თქვენ კი არა, სხვებსაც ასე ვახდევინებთ, ახალი წესიაო!

* * *

აი, ასე, მოკლედ და გასაგებად — გადაიხდი ფულს, შეგიტან „თეთრ სიაში“, არ გადაიხდი და იქნები შავსიელივით დასჯილი, უკატალოგოდ და უხელმომწერლოდ.

* * *

წესებით ანუ **უწესოდ** ექცევა გაზეთებს — როგორც და რამდენიც მოუნდება, შემოსავლის იმდენ პროცენტს აალიტავს (და ეს პროცენტი ყოველწლიურად კატასტროფულად იზრდება — რედაქციებისათვის, რასაკვირველია), როცა **მოეხასიათება**, მაშინ გადაურიცხავს ამ პროცენტებიდან მორჩენილ თანხებს.. ერთი სიტყვით, კარგის მეტი ყველაფერი გვახსოვს მისგან!.

ახლა კიდევ, საკატალოგე ხარკი!..

* * *

ჯანდაბას, ამ ახალ ხარკსაც შევეგუებოდით, ეს ჩვენი კავშირგაბმულობის სამინისტრო სინამდვილეში **კავშირგაუბმელობის სამინისტრო** რომ არ იყოს!

* * *

დიახ, **კავშირგაუბმელობის**, რამეთუ დღე არ გავა, წერილი არ მოვიდეს, არ დარეკონ, გამოწერილი გვაქვს თქვენი გაზეთი, არ ვიღებთ და გვიშველეთ რამეო!

აბა, ჩვენ რა შველა შეგვიძლია, მივასწავლოთ

არაფერი გვეშველა, იქნებ თქვენ მაინც...

* * *

მიხვდით, ალბათ, ყოველივე ამის შემდეგ თუ რატომ არაა ჩვენი გაზეთი იმ **ძვირფას** კატალოგში.

არა, საქმე ფულში როდია (თუცა ამ 3-4 თვის წინ ასე ხელწამოსაკრავი არ იყო ის 5000 მანეთი), ბოლოს და ბოლოს, შეგუება— მორჩილებასაც ხომ საზღვარი აქვს! რაღაცნაირად ხომ უნდა აუჯანყდე, გამოუცხადო პროტესტი ამ შენს ყოვლისმომქმედ-არაფრისმკეთებელ ბატონ-მონოპოლისტ კავშირგაუბმელობის სამინისტროს!.

* * *

და ჩვენც გამოვუცხადეთ! კატალოგში ზემოაღნიშნულ თავაზიან-ფულიან მიწვევაზე აღწერილი, „მიზეზობრივი“ უარი ვტკიცეთ და...

ვრჩებით იმის იმედით, „საქართველოს“ ერთგულო მკითხველებო, რომ ჯიხურებში შეიძენთ მას!..

ხოლო თუ რა ფორმით გახდება შესაძლებელი მასზე ხელმოწერა, დამატებით გაცნობებთ.



# უმადურობის მეხსიერება

ჯანსუღ ღვინჯილია

ღმერთმა ისე ნუ დამცეს, ოდესმე როსტომ ჩხეიძისა ან რომელიმე მისი თანამოაზრისაგან ჩემი ნაშრომ-ნაკვლევის დაფასებას ვითხოვდე. ხოლო დაინტერესდებოდა თუ არა სხვა დროს ვინმე დიდი მოურავის ბიოგრაფიით, ამის შესახებ თავად აღვნიშნავდი თორმეტი წლის წინათ წიგნში „გიორგი სააკაძის პიროვნება“.

სხვათა ნალვაწის დაუნახაობა, დაუფასებლობა, უპატივცემულობა, არადჩაგდება ქართველებმა ცხოვრების წესად რომ გავიხადეთ, მიტომაც ვერ მივაკვლევთ ჭეშმარიტებას! დიდი ხანია ჩვენი ცხოვრება ამ მაგალითებით არის აღსავსე და ამაში უკვე გასაკვირი არაფერია, რადგან იგი „არ ახალია“. მაგრამ როგორ ვანადგურებთ ამ გზით სიარულისას საქართველოს ისტორიას, ქართულ მეცნიერებას და ქართულ კულტურას, ეს ყველასათვის ცხადზე ცხადი უნდა იყოს.

ვისაც მინდა დავიმოწმებ, ვისაც მინდა — არა, ვისაც მინდა წარმოვაჩენ, ვისაც მინდა — არა, რასაც მინდა მივაფუჩეჩებ, რასაც მინდა გამოვაბრწყინებ!.. ქართული მეცნიერებისა და კულტურის პრობლემებზე გამართულ კამათში ჩვენ, სამწუხაროდ, ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ. ურიცხვი მაგალითის მოტანა შეიძლება აქ თქმულის დასადასტურებლად.

მეცნიერულ დავაში ამის უფლება არავის აქვს.

მე არ მინდა ნებსით თუ უნებლიედ ამასვე აკეთებდეს როსტომ ჩხეიძე, კაცი, ვინაც ვრცელი ნაშრომი უძღვნა პავლე ინგოროყვას და ვინაც შესანიშნავად იცის მნიშვნელობა ტკივილებისა, რომლებიც დიდ მეცნიერს მიაყენეს თავის დროზე. მე, პირიქით, მგონია: ჩვენი კულტურული ტრადიციებიდან უნდა გამოვიხმოთ კამათის მეცნიერული მეთოდები, ავაღორძინოთ ისინი და ავიყვანოთ სრულიად ახალ სიმაღლეზე, დავამკვიდროთ ნამდვილი კვლევისა და პაექრობის სტილი საქართველოში, თანდათან გავაძევოთ არენიდან გუნება-განწყობილებისა და ანგარიშსწორების ვნების კარნახით გაბატონებული სტილი ლანძღვა-გინებისა, მიკერძოებისა, ზერელე განცხადებებისა, ურთიერთუპატივცემულობისა და ერთმანეთის არადჩაგდებისა.

მე იმ ადამიანთა შორის მეგულება როსტომ ჩხეიძე, ვინც ამდაგვარი სასიკეთო მიმართულებით ჩარხის შემოსაბრუნებლად იბრძოლებს და ამიტომაც გამაოცა მისმა წერილმა „ორშოლტიანი მათრახი“, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ამა წლის 30 ოქტომბერს.

ხვალ რომ ანალოგიური შინაარსის წერილი დავწერო, სადაც ხაზს გადავუსვამ პავლე ინგოროყვას მთელს დამსახურებას მავანთა მოსაზრებების მოშველიებით და ერთხელაც არ ჩავთვალო საჭიროდ როსტომ ჩხეიძის ვრცელი ნაშრომის ძირითადი დებულებების გახსენება, რას ემგვანება ეს?

ბოლო წლებში ყოვლად მიუღებელი და ზერელე მოსაზრებანი გამოქვეყნდა გიორგი სააკაძის შესახებ, რასაც მე გარკვეული მიზეზების გამო ვერ ვუპასუხე...

ახლახანს კი როსტომ ჩხეიძის წერილი დაისტამბა.

როსტომ ჩხეიძე არავის და არაფერს არ უწევს ანგარიშს. არც სხვათა მოსაზრებებს, არც ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, არც არგუმენტებს, არც დიდ მწერლებსა და მეცნიერებს, არც ხალხსა და არც ქვეყანას. ანგარიშს უწევს მხოლოდ და მხოლოდ გიორგი სააკაძის პირადი მტრების შთამომავალთა განწყობილებას და იმ მწერლებს, ვინც მეტნაკლებად ეხმიანება ამ მტრულ განწყობილებას.

როსტომ ჩხეიძის წერილი გახლავთ განწყობილების გამოხატულება. მისი განწყობილება კი რატომღაც უაღრესად უარყოფითია. არც ისახავს მიზნად მეცნიერულ დასაბუთებას. ჯერ ერთი საამისოდ მთელი წიგნის დაწერაა საჭირო, წიგნის დაწერამდე მრავალი წლის კვლევა, ფაქტების, ცნობების შეჯერება. ამიტომ ერთ საგაზეთო წერილში მას არ შეეძლო და არ უცდია ყოველმხრივი ანალიზი.

მკითხველთა ერთ ნაწილს, შესაძლოა, მოეჩვენოს, რომ მან იცის გიორგი სააკაძის სახელთან დაკავშირებული ამბები და მოვლენები. სინამდვილეში, აშკარაა, რომ მან არ იცის მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს ისტორია, კერძოდ, სააკაძის ფენომენის გარშემო არსებული ცნობები და მოსაზრებები, ეტაპები ამ პრობლემის კვლევისა.

უმადურობის გრძნობის წინააღმდეგ სპეციალური ნაშრომი დაწერა როსტომ ჩხეიძემ, რომელშიც მკაცრი სიტყვა უთხრა ქართველი ხალხის ერთ ნაწილს დიდი მეცნიერის დაუფასებლობისათვის.

უმადურობას ცუდი მეხსიერება აქვს! პავლე ინგოროყვამ ნიადაგი მოუმზადა რუსთაველის იუბილეს მსოფლიო მასშტაბით, ხოლო საიუბილეო საღამოზე მოხსენება არ წააკითხეს.

უმადურობას ცუდი მეხსიერება აქვს! სააკაძე ტაშისკარის ბრძოლას გადაიხდის, მეფეს შეპყრობისაგან, ქვეყანას აოხრება-გაჩანაგებისაგან იხსნის, ხოლო გადარჩენილ ქართლის შვილთა ერთი ნაწილი სანაცვლოდ მოკვლას დაუპირებს, მეფეს წაჰკიდებს, დას სასახლიდან გამოუგდებს, და ყოველივეს მიზეზად მხოლოდმხოლოდ ერთ ნიშანს ასახელებს: „მოურავი კაცი დიდად კარგი არისო, მაგრამ ჩვენზედ დიდად უმცირესი არისო და უმრწემესი გვარითაო. ჩვენ იმათ ცოლნი და შვილნი და თავნი ყრმად რად მივცეთო“ (ბერი ეგნატაშვილი).

ამ ფაქტის უპრეცედენტობაზე სხვა დროს.

უმადურობას ცუდი მეხსიერება აქვს.

თუ უმადურობის გრძნობა მთელ ერს დაეუფლა, გამოფიტავს კიდეც. მაშინ იგი არც იქნება გადარჩენის ღირსი. არ იქნება და ვერც წარმოშობს თავის მხსნელ დიდ პიროვნებას. გიორგი სააკაძის პიროვნება კი ყოველი ყოფნა-არყოფნის ჟამს დაჰპირდება ქართველ ერს, რადგან ეს გიორგი სააკაძის ფენომენს ძალუძს ყოფნა-არყოფნის სიტუაციაში მარტყოფის გადახდა!

ქართველ ერს უმადურობის გრძნობა მთლიანად არ დაუფლებია, მაგრამ საგრძნობ ნაკადად კი იღწვის იგი მის არსში და შეუმჩნევლობა არ გვეპატიება. უმადურობას ცუდი მეხსიერება აქვს, ძალიან ცუდი. სურდა თუ არ სურდა, როსტომ ჩხეიძემ სამსახური გაუწია უმადურობის გრძნობის ამ ნაკადს.

მომიტევოს მკითხველმა, ზოგი რამის განმეორება მომიწევს ჩემი წიგნიდან. თავის დროზე ურიცხვი ცნობის შეჯერებით გამოტანილი დასკვნის მოშველიება დამჭირდება, რადგან სხვის მიერ დამტკიცებული აზრი (არა მარტო ჩემი, ცხადია!) სათვალავში არც ჩაუგდია ჩემი წერილის ადრესატს და ყოვლად არასწორი მოსაზრებები განავითარა.

მე კეთილსინდისიერ კაცად ვიცნობ როსტომ ჩხეიძეს.

ამიტომ მისი შეცდომების მიზეზად მაინც არცოდნას ვთვლი.

დავიწყოთ მთავარით.

„მაგრამ ის მეორე სავალალო მხარე მისი მოღვაწეობისა არ აძლევდათ საშუალებას დიდი მოურავის ცხოვრება სამაგალითოდ დაესახათ“ — წერს როსტომ ჩხეიძე. შეიძლება ასეთი განცხადება ცოდნაზე იყოს დაფუძნებული? განა დასაშვებია, კაცმა იცოდეს არჩილ მეფის სიტყვები:

„ესე საქმე მოურავმა უცხო ქნა
და საკვირველი,
ვით შემართა ამ საქმესა,
არის თუცა გულად რვალი!
ეს ყველასგან უძნელეა
სხვა სახელიც ქნა მრავალი.
უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი!
სახელისთვის მათ ცოლ-შვილი
ორთავე დათმეს, ეს იცოდეთ!
ვინ არ მიყვეთ მათ საქმესა,
არ იცით, რომ დიდად სცოდეთ?
რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების,
რასაც ჰყოფდეთ?
აწ ეს ქენით, ქართველებო,
ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ!“

და მაინც ამტკიცოს, სააკაძის მოქმედებას სამაგალითოდ ვერავინ დასახავდაო? მეფე არჩილი, „მართლის თქმის“ პრინციპის მიმდევარი და დამამკვიდრებელი ქართულ პოეზიაში, შესანიშნავი პოეტი, საქვეყნოდ აცხადებს, საქვეყნოდ მოუწოდებს მთელს ქართველობას, მიბაძონ ქვეყნის ერთგულებაში სააკაძეს. ეს არ არის მაგალითად დასახვა? ამას ხომ არჩილ მეფე ამბობს პოემაში, რომელიც თეიმურაზ პირველს ეძღვნება. რაკი თანამედროვენი იყვნენ, სააკაძეს გვერდს ვერ აუვლიდა და არც უცდია უპატიოსნეს პოეტს გვერდის ავლა. მართლის მთქმელი იყო! არც შინაგანი სიმართლე აძლევდა გვერდის ავლის უფლებას და არც მომხდარი ამბების ჭეშმარიტება. თეიმურაზ პირველისადმი მიძღვნილ პოემაშიც არ ცდილობს მიჩქმალოს სააკაძის დამსახურება! ხოლო ამავე პოემაში აღნიშნავს, ყველაფერი აქ თქმული, სინამდვილეა, მცოდნე ხალხისაგან მაქვს ცნობები აღებულიო. თუ სააკაძის ცხოვრება და გმირობა სამაგალითო არ იყო, ვინ აძალებდა, ანდერძად რატომ დაუგდო მთელს ქართველობას სააკაძისაგან შვილის შეწირვა და ქვეყნის ხსნა? ან კი შეეძლო არ დაეგდო ანდერძად?

როსტომ ჩხეიძე მშრომელი კაცია, დღენიადაგ წიგნში თავჩარგული. მაგრამ ყოველმა ადამიანმა და მათ შორის სხვასავით წიგნებში თავჩარგულმა ის საგანი იცის ზედმიწევნით კარგად, რასაც გულდასმით სწავლობს. ჩემთან მომავალში საკამათოდ განწყობილი როსტომ ჩხეიძე, მჯერა, ყველა ცნობას ჩაუჯდება, არჩილის ამ პოემის მოხმობილ სტრიქონებს ნახავს და დარწმუნდება, რომ თავისსავე ეპოქაში გიორგი სააკაძე სამაგალითო გმირად არის მიჩნეული. ნახავს და უმადურობის მეხსიერებას უთუოდ განუდგება, დაუპირისპირდება კიდეც, რადგან კეთილსინდისიერება არ დაანებებს არ დაინახოს ის, რაც შავით თეთრზე წერია.

შავით თეთრზე არჩილ მეფეს ისიც უწერია, რაც ვახუშტი ბაგრატიონს, ეტყობა, ხელით არ ჰქონდა, როდესაც მწარედ მიანიშნებდა, სააკაძემ შაჰის უსტარი ჩაიგდო ხელში და აჯანყება ამის მერე გადაწყვიტაო. არჩილ მეფეს უწერია, რომ აჯანყების განზრახვა გიორგი სააკაძემ ზურაბ ერისთავს ადრევე გაანდო:

„ზურაბს თურმე იქივ უთხრა:
„ვერ სჭვრეტ, არის რის მთესენი?
მე სხვა რამე გამიგია,
ხმალი აჭავ მოლესენი“.

არჩილ მეფეს ისიც უწერია, რომ ზურაბ ერისთავმა უსაყვედურა გიორგი სააკაძეს, რატომ ისპაჰანშივე არ მაცნობე, ცოლს არ დავტოვებდიო.

სააკაძე პასუხობს:

„მუნ ამისთვის არ გაცნობე,
ცოლს თან არ გამოგატანდნენ,
ვთქვი: თუ უთხრა და არა ქნას,
ბოლოს რისთვის დავინანდნე?
იქ მივუყვან, საქართველოს
წახდენაზედ ცრემლს დავადენ,
მე შვილს დავსთმობ ქვეყნისათვის,
ამან ეს ყოს, იყოს აზდენ“

სააკაძე ზურაბ ერისთავს ბატონიშვილი ლელას შერთვას სთავაზობს. პატივმოყვარე ზურაბი თანხმდება! თავად ჩვენ მეოცე საუკუნის ქართველობას რა შეგვიძლია შევთავაზოთ გიორგი სააკაძეს პაატას ნაცვლად? არ მითხრათ ახლა, არჩილ მეფის სიტყვებისა არ გვჯერაო! ხომ მთელი მიმდევრობაა აღწერილი ამ პოემაში მოვლენებისა, ხომ აშკარად ჩანს, ისპაჰანში არ უთქვამს, მაგრამ გაცილებით ადრე უთხრა, ვიდრე ლოჭინის ხეობაში ჩასაფრებული თავადვე მოიგდებდა ხელთ შაჰის წერილს. რატომ გვინდა, მაშინ დავეყრდნოთ ვახუშტი ბაგრატიონს და მისგან მოწვდილი ცნობის იმ ნაწილს, რაც ჩვენი განწყობილების წისქვილზე დაასხამს წყალს? ჯერ ერთი, ვახუშტი ბაგრატიონისაგან რატომ უნდა მოვითხოვოთ ყველაფრის ცოდნა. როგორ გვგონია, არჩილის მიერ მოწვდილი ცნობები მას ხელთ ჰქონდა და მაინც თქვა: „გარნა თუმცა არ ეხილვა მოურავსა წიგნი იგი შიკრიკისა, აყრილიმცა იყო ქართლი. გარნა იხსნა ღმერთმან ერი თვისი ესრეთ!“???

რა მეცნიერი იქნებოდა ვახუშტი ბაგრატიონი, თუკი ასეთ ცნობებს არ გაუწევდა ანგარიშს?

და თუ ვახუშტი ბაგრატიონს ვუსმენთ, რატომ არ მივაპყრობთ ყურს მის მთავარ აზრს მოტანილ წინადადებაში:

„თუმცა არ ეხილვა მოურავსა წიგნი იგი შიკრიკისა. აყრილიმცა იყო ქართლი. გარნა იხსნა ღმერთმან ერი თვისი ესრეთ“???

ვახუშტი ბაგრატიონი მთავარ დამსახურებას ხომ არ ჩქმალავს! პირიქით, მოურავს ეს წიგნი რომ არ ეპოვა, ქართლი აყრილი იყო, ამას არაფერი არ შველოდაო, ამბობს პატიოსნად. ქართლის გადამრჩენი მხოლოდ ეს კაცი იყოვო, ხომ ამასვე ნიშნავს თქმული, ღმერთმა აპოვნინა და ე.ი. ღმერთის რჩეული კაცია სააკაძეო, იგია მხსნელად ღმერთისაგან მოვლენილიო, ესეც ხომ იგულისხმება! თუკი სხვასაც ძალუძდა ირანის არმიის დამარცხება, რა აიძულებდა ვახუშტი ბაგრატიონს გადაწურულად ეთქვა „აყრილიმცა იყო ქართლი“, რომ მოურავი არაო. საკამათოა აქ რამე? ხედავს სხვა ძალას ვახუშტი?

ვახუშტისაგან თქმული განმეორება გახლავთ მრავალ ისტორიულ წყაროში აღნიშნული სინამდვილისა, კერძოდ იმისა, რომ შაჰს გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლის მთლიანი აყრა-გადასახლება და კახელების ერთიანად ამოჟლეტა. ამ კატასტროფისაგან ქვეყანა ჩვენი, საქართველო, იხსნა გიორგი სააკაძის მიერ ორგანიზებულმა მარტყოფის აჯანყებამ! (არჩილ მეფე, როსტომ მეფე, ბერი ეგნატაშვილი, მუსტაფა ნაიმა, იბრაგიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები, ისკანდერ მუნში, ევროპელი მისიონერები, იოსებ თბილელი და სხვა მრავალი).

და აქ მივადექით უმთავრესს!

მინდა მივმართო (ჩემს კი არა!) სააკაძის ოპონენტებს: გაქვთ ხელთ ცნობები, რომლებიც უარყოფს ან დიდი უპირატესობით გადაწონის აქ ჩამოთვლილი ისტორიკოსების ცნობებს, მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას იმის შესახებ, რომ ქართლი აყრილი იქნებოდა მთლიანად, რომ სააკაძის მიერ ორგანიზებული მარტყოფის აჯანყება არა?

საბედნიეროდ, ბაგრატიონთა და დიდგვაროვანთა სურვილისდა საწინააღმდეგოდ, როგორც ქართველი, ასევე არაქართველი ისტორიკოსების მიერ იმავე საუკუნეში აღინიშნა სააკაძის უზარმაზარ დამსახურებათა შესახებ.

კამათი ამ ცნობებთან ჭკუათმყოფელ კაცს არც მოუვა აზრად. რადგან ასეთ დროს მან უნდა წარმოადგინოს ცნობები [illegible] არც არჩილის, არც როსტომ მეფის, არც ბერი ეგნატაშვილის, არც ვახუშტი ბაგრატიონის, არც მისიონერების, არც ქათიბ ჩელების, არც იბრაგიმ ფეჩევის, არც ისკანდერ მუნშისა და სხვათა ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება.

აბა საიდან! ეს როგორღა შეიძლება! მაგრამ ოპონენტს ხელთ რჩება ერთი მარადიული იარაღი — წაყრუება! წაყრუება იმაზე, თუ რა მასშტაბისა იყო მარტყოფის აჯანყება, წაყრუება იმ ცნობაზე, რომ ქართლ-კახეთი ფიზიკურ აყრა-გაჟლეტას გადარჩა და რომ ეს გრანდიოზული მოვლენა დიდმა მოურავმა მოახდინა.

წაყრუება იმაზე, რომ სააკაძემ შვილის დატოვება და შეწირვა მანამ გადაწყვიტა, სანამ შაჰის უსტარს მოიგდებდა ხელთ.

უმადურობას ცუდი მეხსიერება აქვს.

წაყრუება იმაზე, თუ რას ნიშნავს აღმოსავლეთ საქართველოს ანუ ლიხის მთიდან ლაგოდეხის ჩათვლით ქართველობის არსებობის გადარჩენა (სხვათაშორის აღმოსავლეთ საქართველო მაშინ გაცილებით მეტ ტერიტორიას მოიცავდა), აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენა — ეს უნიკალური ისტორიული მოვლენა „ვერ გადაწონის იმის გახლეჩილ სულს“, როგორც ამას როსტომ ჩხეიძე გვიმტკიცებს?

ახლა მე მინდა ისევ დავსვა წიგნში ერთხელ უკვე დასმული კითხვა: გაორებულ, სულგაბზარულ პიროვნებას შეუძლია განა თავისი არსებობა ისე მონოლითური გამოიყვანოს ლაბირინთის წყვდიადიდან, რომ მარტყოფის განუმეორებელი აჯანყება შეიძლოს? როდის იყო, გაორებული პიროვნებები ამდაგვარ სასწაულებს სჩადიოდნენ? თუ ვინმე ახდენდა ამდაგვარ სასწაულს, უხერხული არ არის მისი სულის გაორებაზე ლაპარაკი?

მარტყოფს მარაბდა მოჰყვა, სადაც სააკაძეს მთავარსარდლობა არ დაანებეს. არ დაანებეს და დამარცხდნენ. ამ ბრძოლაში ხომ ყველაზე გმირულად გიორგი სააკაძემ იბრძოლა. „და იმდღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა“ (ბერი ეგნატაშვილი). პატივმოყვარეო, არაერთგზის აღნიშნავს როსტომ ჩხეიძე სააკაძის მისამართით.

საიდან! გული ატკინეს, განუდგნენ, შეთქმულება მოუწყვეს ზედ მარაბდის ბრძოლის წინა თათბირზე და ნაცვლად იმისა, რომ ბარათა ბარათაშვილის და დიდგვაროვანთა მსგავსად დამუქრებოდა, ბრძოლის ველს მივატოვებ, თუ ჩემს აზრზე არ გაივლითო, შევიდა ბრძოლაში და ისე იომა, როგორც ბერი ეგნატაშვილი გვამცნობს. თუმცა მარტო ბერი ეგნატაშვილი რა შუაშია. მთელმა საქართველომ იცის სხვა წყაროებიდანაც, თავზე მუზარადი რომ არ დაიდგა და საითაც გაიწევდა, სასწაულებს ახდენდა! მარაბდის მარცხიანი ომის შემდეგ მთელი საქართველოს მასშტაბით გაშალა ბრძოლა ირანის წინააღმდეგ. ათ დღეს შეაგუბა მთავარი ლაშქარი ირანისა და ქართლს გახიზვნის საშუალება მისცა. მერე...

მერე ლისთან სამოცი კაცით შვიდასი თათარი გაანადგურა. ქსანზე თორმეტ ათასიანი ჯარი ერთიანად ამოჟლიტა. გადავიდა მესხეთში, აიღო ვარძია, თმოგვი, ხერთვისი, ახალციხე, ასპინძასთან დიდძალი ჯარი მოსპო ყორჩიბაშისა, გადმოვიდა გაზაფხულზე ქართლში, აიღო გორი, ქართლის სხვა ციხეები, ქვემო ქართლის სიმაგრეები, თბილისში გამოკეტა ირანის გარნიზონი, დალაშქრა დაღესტანი, ყორჩიბაში აიძულა ქართლიდან გასულიყო.

ჰო, მართლა, ბირთვისის აუღებელი ციხე აიღო და ხუთას თათარს წააგდებინა თავი.

ყველას ვინ ჩამოთვლის.

უყო თუ არა ეს ასე, უწერია თუ არა ეს თითქმის ყველა ისტორიკოსს, ბაგრატიონის თუ სხვა გვარისას. უწერია თუ არა ყოვე-

ლივე ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონს?

ამ ბრძოლებს ხომ საარაკო გმირობას უწოდებდა ილია ჭავჭავაძე და გვაფრთხილებდა მისი საარაკო საქმენი და საეჭვო ცნობები ფრთხილად და გულდინჯად გამოგვეკვლია. რატომ არ ვიკვლევთ ფრთხილად, რატომ ასე ზერელად, ასე იოლად, ასე დაუფიქრებლად წამოვიძახებთ აუგს, წამოვკრავთ ხელს, მივაფუჩეჩებთ ან წავუყრუებთ იმ სასწაულ ბრძოლებს. არ გამოვა ასე.

ნუ ვუვლით ამ მოვლენებს გვერდს და ნუ ვცდილობთ, საქმე ისე წარმოვადგინოთ, თითქოს შაჰის სუფრაზე შარბათის შესმა და ბაგრატიონთა ისტორიკოსებისაგან ჩაწერილი სიტყვები, შაჰს ქართლზე სალაშქროდ აზრახებდაო, უფრო დიდი მოვლენა იყოს, ვიდრე გრანდიოზული აჯანყება მთელი თავისი გაგრძელებით. სად არის ლოგიკა! თუკი შაჰს „ქართლის დაპყრობად აზრახებდა", რატომღა ჯანყდებოდა! თუკი შაჰი მის სურვილს ასრულებდა, ამ სურვილის წინააღმდეგ რატომ მიდიოდა! ან ის შაჰი რატომ აგზავნის მაინცდამაინც 1625 წლის გაზაფხულზე შათირის ხელით უსტარს ყორჩიხანთან, ჩქარა ქართლი აყარე, კახეთი მოსპე, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, მოურავს თავი მოსჭერი და გამოგზავნეო.

სააკაძე 1619 წლიდან 1625 წლამდე ქართლის ფაქტიური გამგებელი იყო. აქამდე მოეჭრა თავი შაჰს მისთვის, ზედ მაქსიმალურად მომზადებული აჯანყების წინ რამ გააცოფა? განა ბევრი ფიცი-მტკიცი უნდა იმის გარკვევას, რომ შაჰს მიწვდა ხმა სააკაძის მზადების შესახებ და დასწრება სცადა? თავიდან ვამტკიცო დამტკიცებული?

მინდა კიდევ ერთი რამ ვკითხო როსტომ ჩხეიძეს: ტაშისკარის ბრძოლის, მარტყოფის აჯანყების, მარაბდის ბრძოლის, ქსნის ბრძოლის, ასამდე „საარაკო" ბრძოლის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს განადგურებისაგან გადარჩენის გარდა, დამატებით კვლავ რა უნდა გააკეთოს ერთმა კაცმა (კინაღამ დამავიწყდა — პაატას შეწირვის გარდა), რომ მას გამოგონილი გმირი არ ვუწოდოთ და მივცეთ ნება ერს ეროვნულ გმირად მიაჩნდეს დიდი მოურავი, როგორც მიაჩნდა იგი არჩილ მეფის ცნობით მისსავე სიცოცხლეში?!

რა შუაშია სტალინი?

საიდან მოვიტანეთ, რომ ეროვნულ გმირად და საქართველოს გამაერთიანებლად სააკაძე სტალინის მითითებით წარმოადგინეს და რომ სინამდვილეში მსგავსი არაფერი არ ყოფილა?

სტალინმა მისი ბიოგრაფია მართლაც გამოიყენა, მაგრამ ეროვნული გმირობა და საქართველოს გაერთიანება არ გამოუგონებია, მეც ასეთ ეროვნულ გმირად დამსახეთო, ამაზე მიგვანიშნა.

სააკაძე კი სხვა რამეს ჰქვია. სააკაძე ჰქვია იმ კაცს, რომელსაც თავისი დიდი დამსახურების მიუხედავად წრეები მოიძულებენ (ამ შემთხვევაში დიდგვაროვნები და მეფე!), მოსაკლავად გამომეტებულს სხვა გზა არ რჩება, თავს შეაფარებს შაჰის კარს, მაგრამ წლების განმავლობაში ემზადება იმპერიის დასამხობად, როგორც კი შაჰის ვერაგულ ჩანაფიქრს ჩაწვდება და შეიძლებს გადაიხადოს მარტყოფი, შესწიროს ქვეყნის გადარჩენას შვილი, გაანადგუროს იმპერიის მთავარი ძალები!

ვინც მარტყოფს ვერ გადაიხდის, ის სააკაძე არ არის!

ვინც მარტყოფს, მარაბდას, ქსანს გადაიხდის, ვინც შეწირავს შვილს და ვინც აღწევს უდიდეს შედეგს — ხელი აალებინოს შაჰს ქართლ-კახეთის აყრა-გაჟლეტის განზრახვაზე, ის რენეგატი არ შეიძლება იყოს. რენეგატის ბუნება ასეთ სასწაულებს ვერ ახდენს.

სტალინამდე არ იყო არჩილ მეფე, როსტომ მეფე, ისკანდერ მუნში, იბრაგიმ ფეჩევი, ევლია ჩელები, ქათიბ ჩელები, მუსტაფა ნაიმა, ბერი ეგნატაშვილი, ევროპელი მისიონერები, იოსებ თბილელი, ვახუშტი ბაგრატიონი, პლატონ იოსელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა?..

მეჩვიდმეტე საუკუნეში სააკაძის ქება-დიდება იწერებოდა ყველგან. მეთვრამეტე საუკუნეში მისი სახელის შებღალვა რომ მოიწადინა ბაგრატიონთა დინასტიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა, ამის შესახებ მკვლევარებს საყურადღებო ნაშრომები აქვთ შექმნილი. რატომ არ უწევს ანგარიშს სააკაძის პრობლემის შესწავლის ეტაპებს როსტომ ჩხეიძე? სპეციალური ნაშრომი აქვს გივი ჯამბურიას აგერ ჩვენს დროში.

არავინ არაფრად არ არის ჩასაგდები, არც კლასიკოსი, არც თანამედროვე, გარდა აკაკი ბაქრაძისა და თამაზ ნატროშვილისა?

და კიდევ აწ განსვენებული ლევან გოთუასი?

რატომ ხდება, რომ ჰალების დილეგის დათვალიერებისას მხოლოდღა ლევან გოთუას „უგზო ქარავანი" წამოგვაგონდება და ჩვენს მეხსიერებაში არა და არ ამოტივტივდება სწორედ ტაშისკარი, მარტყოფი, მარაბდა, ქსანი, პაატას მოკვეთილი თავი და გადარჩენილი ქართლ-კახეთი?

მე უკვე გაანალიზებული მაქვს წიგნში ლევან გოთუას მოთხრობის ნაკლიც და ღირსებაც.

არ შეიძლება მხატვრული კონცეფცია მეცნიერულ კონცეფციაზე აცხადებდეს პრეტენზიას! სწორედ რომ მიამიტობაა იმის აღნიშვნა, თითქოს ნასყიდაშვილმა (გიორგი სააკაძის ყმამ მოთხრობის მიხედვით) გაშიშვლებული ხმალი კი არ იქნია ბაზალეთში, არამედ ქარქაშიანად იგერიებდა მომხდურთ, რათა ძმათა სისხლში ხელი არ გასვროდა!

თქვენ უნებურად დავით აღმაშენებელს აყენებთ შეურაცხყოფას!

ვინ გაიგონა გახურებულ ბრძოლაში კაცი ქარქაშიდან ხმალს არ იღებდეს და ქარქაშით იგერიებდეს მოღერებულ სატევარს. ასეთი რამ თუ მოხდა ბაზალეთის ბრძოლაში, მოიმოქმედა იგი ისევ გიორგი სააკაძემ ერთ ეპიზოდში და კარგი იქნებოდა მწერალ ლევან გოთუას, ვისაც მე დიდ პატივს ვცემ, ამ გადასახედიდან დაენახა მოვლენები: „მერმე მოვიდა მოურავი ბატონს თეიმურაზზედ, ჰკრა ლახტი ბეჭსა ზედა, არღარა დაადგრა და წარვიდა" (ვახუშტი ბაგრატიონი). მანამ, სანამ ამას მოიმოქმედებდა, დიდმა მოურავმა მის მოსაკლავად საგანგებოდ ჩასაფრებული ტერორისტული რაზმის მეთაური ედიშა ვაჩნაძე განგმირა ხმლით, რამდენადაც ღირსი იყო იგი! ხოლო მირონცხებულ მეფეს ხმალი არ დაჰკრა, ლახტი-„უმკვეთელი ბლაგვი იარაღი" (საბა) დასცა „ბეჭსა ზედა" და ამით შეარცხვინა მეფე, ვინც მისი წყალობით იჯდა ქართლ-კახეთის ტახტზე და შურისგან დაბრმავებული იოთამ ამილახვარსა და ვერაგ ერისთავს დაყრდნობოდა ახლა სააკაძის წინააღმდეგ.

აი, ამ ეპიზოდის, ისტორიულის, გამოუგონებელის სიმაღლიდან უფრო უპრიანი იქნებოდა, მწერალ ლევან გოთუას მოვლენები დაენახა.

მწერლის ნება მწერლის ნებაა, ოღონდ ისტორიული ჭეშმარიტებების დასადგენად მხატვრულ, გამოგონილ პასაჟებს ნურავინ დაეყრდნობა. ვერაფერს ვერ დავადგენთ ამ გზით.

დავით აღმაშენებელი ვახსენე ზემოთ. რატომ ვაყენებთ მას შეურაცხყოფას? როდესაც ერწუხის ბრძოლა გათავდა და მეფეს სარტყელი შემოხსნეს, უამრავი სისხლი დაიღვარა მიწაზე. დაჭრილი ეგონათ. თურმე, ხმლის ღარიდან უკუჩამდინარი სისხლით ჰქონდა უბე სავსე. ვისი სისხლი იყო ის სისხლი? მარტოოდენ თურქებისა? (იქნებ სააკაძეც სპარსელებს ხოცავდა ბაზალეთში და არა ქართველებს?!). ხომ ურიცხვი „წვრილი ერი" გამოიყვანეს აღმაშენებლის წინააღმდეგ ერწუხში კახეთის მესვეურებმა? ახლა როგორ წარმოვიდგინოთ სურათი: გადაეყრება დავით აღმაშენებელი ბრძოლის ველზე თურქებს, გააშიშვლებს ხმალს და ჩეხავს, ჩეხავს და ივსებს უბეს უკუჩამდინარე სისხლით, გადაეყრება კახელებს და ჩააგებს ხმალს ქარქაშში და ქარქაშით იგერიებს ნასყიდაშვილის მსგავსად თანამოძმეებს!!?

ერწუხის ბრძოლაში გაცილებით მეტი ქართველი შეაწყდა ქართველს, ვიდრე ბაზალეთში.., ომი ომია! თანაც ხელჩართული!

ამოვიჩემეთ ბაზალეთი, თითქოს ფეოდალური ომები ქართველებს შორის სხვა დროს არ გამართულა! იგივე ერწუხი, იგივე ქსნის ბრძოლა — აშოტ დიდსა და კახეთის ქორეპისკოპოსს შორის!.. იქნებ დღესაც არ ვებრძვით ერთმანეთს თუ სიტყვით და თუ საქმით.

საქართველოს სამი სამეფოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად ბაზალეთი. ცნობებით არის ეს დადასტურებული.

თუნდაც ასე არ იყოს, როგორ შეიძლება ბაზალეთმა გადაწონოს მარტყოფი! იმდროინდელ აღმოსავლეთსა და დასავლეთს პირზე ეკერა მარტყოფის აჯანყება.

უმადურებას ცუდი მეხსიერება აქვს!

ბაზალეთი იყო ძმათაშორისი ბრძოლა, მომხდარი უკვე გადარჩენილ საქართველოში. ამის მსგავსი ბრძოლა მანამდეც მომხდარა სამწუხაროდ ჩვენს სამშობლოში და მას შემდეგაც.

მარტყოფი კი არის ქვეყნის ხსნა, საუკუნეთა ნიშანსვეტი, ნუ ვეცდებით მარაბდა და ნებისმიერი სხვა ბრძოლა დავამჯობინოთ მას. დიდგორის, ბასიანისა და შამქორის მსოფლიო მასშტაბის ბრძოლების შემდეგ იშვიათია ამოდენა მნიშვნელობის გამარჯვება საქართველოს ისტორიაში.

როსტომ ჩხეიძე ვარაუდობს, რომ ივანე ჯავახიშვილი გააჩუმა სტალინის პოზიციამ და თითქოს „ვერც ავს და ვერც კარგს" ამიტომ ვერ ამბობდა. ივანე ჯავახიშვილის მზეს ვფიცულობ მეც თქვენთან ერთად, მაგრამ იქნებოდა კი დიდი მეცნიერი მართალი, თუკი მხოლოდ ავს ილაპარაკებდა და ტაშისკარს, მარტყოფს, მარაბდას, ქსანს, ამ ბრძოლების შედეგს მიჩქმალავდა, თუკი წაუყრუებდა ყველა ცნობას, რომლის მხოლოდ ნაწილი მოვაგონე მკითხველს ზემოთ?

ყველამ უნდა ვიცოდეთ, ეჭვი არ უნდა ვაკადროთ ისეთ დიდ მეცნიერს, როგორიც ივანე ჯავახიშვილია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვერც რომელიმე დიდი მეცნიერის, ვერც რომელიმე დიდი მწერლის ტომები ვერ გადააჭარბებს მასშტაბით ტაშისკარს, მარტყოფს, მარაბდას, ქსანს, გადარჩენილ აღმოსავლეთ საქართველოს, რის შესახებაც ასე უთხრა ივანე ჯავახიშვილმა იონა ვაკელს და კოლაუ ნადირაძეს: „თუ სააკაძე არა, ახლა ჩვენ ამ სუფრასთან არ ვისხდებოდით, სადღაც ფერეიდანში დავიბადებოდით, ან სულაც არ გაჩნდებოდით ამ ქვეყანაზეო."

ამიტომ არ დაუშალა მისმა ავტორიტეტმა სხვა მეცნიერებს და მათ შორის ნიკო ბერძენიშვილს, ეღიარებინათ სააკაძის უდიდესი დამსახურება ერის წინაშე.

თუკი ვარაუდებზე მიდგება საქმე, რატომ უფრო ადამიანური და სწორი არ იქნება შემდეგი ვარაუდი: იქნებ დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი უფრო იმან შებორკა, რომ პირდაპირი შთამომავალი გახლდათ იმ ქაიხოსრო ჯავახიშვილისა, ვინც საშინლად უმტრო გიორგი სააკაძეს, წაჰკიდა მეფეს. მან, პირველ ყოვლისა! შადიმან ბარათაშვილი დასის მეთაური იყო, ქაიხოსრო ჯავახიშვილი მოსისხლე კარის მეზობელი! იგი მოსაკლავად მიუხტა სააკაძეს, დაუნგრია ციხე-კოშკი, გადაუხვეწა დედა, სააკაძემ აპატია და მეორედ მაინც დაესხა თავს... სააკაძის ცხოვრების გაუბედურებაში ქაიხოსრო ჯავახიშვილი მთავარი დამნაშავეა. ყოვულივე ეს შავათ თეთრზე წერია 1620 წლის სასამართლოს ოქმის ამონაწერში. შესწავლილი აქვს იგი სპეციალურად ისტორიკოს გივი ჯამბურიას.

პაპის პაპის ძვლების ამოყრა დაჭირდებოდა საფლავიდან და იქნებ ამიტომ შეჩერდა ივანე ჯავახიშვილი — ქაიხოსრო ჯავახიშვილის პირდაპირი შთამომავალი!

დიდ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს შეურაცხყოფას ნუ აყენებ, იგი ასეთ ფაქტორს ანგარიშს არ გაუწევდაო, შესაძლოა, მითხრას ვინმემ. ყველა დიდი მეცნიერი ისევე ადამიანია, როგორც დიდი მხედართმთავარი. მოსალოდნელ საყვედურს წინასწარვე უნდა ვუპასუხო: პაატას შემწირველს და მარტყოფის აჯანყების ავტორს, საქართველოს უდიდეს მხედართმთავარს ნუ ვაყენებთ შეურაცხყოფას! ისტორიას მარტყოფი ქმნის უპირველეს ყოვლისა.

ამიტომ მოვეშვათ ვარაუდებს. რაც დაწერილია და რაც ხელთა გვაქვს, იმაზე დაყრდნობით ვილაპარაკოთ!

ვერც ივანე ჯავახიშვილი და მით უმეტეს ვერც სხვა დონის მკვლევარი ისეთ ცნობებს და არგუმენტებს ვერ მოიტანს, რომ სააკაძის დამსახურებანი გადაწონოს. იმიტომ რომ ტაშისკარი მომხდარია, იმიტომ რომ მარტყოფი მომხდარია, მარაბდა, ქსანი მომხდარია, საქართველო ამ ბრძოლების და ამ კაცის წყალობით გადარჩენილია! რა უნდა დაუპირისპირო ამოდენა სიმაღლეს, რითი გინდა წაშალო ამოდენა კვალი?

ვის შეიძლება შერცხვეს გიორგი სააკაძის გვერდით თავისი სახელის ხსენებისა? ცოტნე დადიანს? ბერ თევდორეს? ლუარსაბ II? ქეთევან წამებულს? დიდება მათ სახელს, მაგრამ თავიანთი ზნეობრივი გმირობით რა გააკეთეს მათ ტაშისკარზე, მარტყოფზე, მარაბდაზე, ქსანზე დიდი?

მარტო ზნეობრივ გმირობას რომ შეეძლოს ქვეყნის ხსნა, მაშინ არ იქნებოდა ქარქაშიდან ხმლის ამოღება დავითის და კონსტანტინეს მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ. ისკანდერ მუნში არსად არ აღნიშნავს, რომ სააკაძე აქეზებდა შაჰს ქართლზე (მით უმეტეს კახეთზე) სალაშქროდ, არადა, დაწვრილებით აღწერს ყველაფერს!

გიორგი სააკაძეს კი არ აქვს ლუარსაბ მეფის სისხლში ხელი გასვრილი, ლუარსაბ მეფემ გატეხა ფიცი, გაშორდა სააკაძის დას, დაარღვია კანონი წმინდა სახარებისა: „რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ" (ბერ ეგნატაშვილთან), მოსაკვდინებლად მიუგდო სააკაძე შეთქმულ დიდგვაროვნებს და რა დიდი მოურავის ბრალია, თუკი მან შესძლო, თავი დაეღწია. მეფე ლუარსაბს ხომ ჰქონდა უკვე მის სისხლში ხელი გასვრილი? ეს რატომ გვავიწყდება, რატომ არის ჩვენთვის ხშირად უფრო მნიშვნელოვანი განწყობილება, ვიდრე ჭეშმარიტება?

როსტომ ჩხეიძე არც უფიქრდება, როგორ აყენებს შეურაცხყოფას ასე იოლად, ერთი ხელის აქნევით, თვით ქართველ ხალხს. ვინაც ტაშისკარის გმირს დიდი მოურავი უწოდა. დიახ, დიდი მოურავი ერმა მას სიცოცხლეშივე უწოდა. იოსებ თბილელმა არსებული ზედწოდება აიღო თავისი პოემის სათაურად, ფაქტის კონსტატაცია მოახდინა. მე არ დამიმოწმებია ეს პოემა ჩემს წიგნში, რაკი ავტორი სააკაძის გვარისა იყო, რამდენადაც ისედაც მრავლად მოიპოვება ცნობები, რომლებიც იოსებ თბილელამდე გვიდასტურებენ მარტყოფის აჯანყების ავტორის სიდიადეს და ხალხს სააკაძე ვერასგზით ვერ შეიყვანდა შეცდომაში. არ არსებობდა მაშინ საინფორმაციო საშუალებები. ხალხი მას ხედავდა სხერტის ჭალაში, ტაშისკარში, მარტყოფში, მარაბდაში, ქსანში, მესხეთში, ქართლში, კახეთში. ყველაზე წინ მიმქროლავს ხედავდა, როგორ ანადგურებდა სამშობლოს მტრებს და ახდენდა მხედართმთავრულ და მეომრულ სასწაულებს. ბაზალეთშიც ხედავდა, ნახევარი საქართველო მისი მომხრე იყო. შაჰთან გაქცევის მიზეზიც იცოდა და ოსმალეთში გადახვეწის წინაპირობებიც. ერთი სიტყვით ხალხი აღიარებდა იმას, რასაც თავისი თვალით ხედავდა!

ხალხი იყო ის ნაწილიც, არც თუ რიცხვმცირე, რომლებიც მაშინ და რომელთა შთამომავლები შემდეგ ტალახს ესროდნენ დიდ მოურავს. და ამ ხალხის გასაგონად თქვა ვაჟა-ფშაველამ თავისი ლექსი „გიორგი სააკაძის სურათზე".

რა ვქნა, ჩემთვის ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ რობაქიძე უფრო დიდი ავტორიტეტია, ვიდრე სხვა მწერლები. თუკი მეტაფორებზე მიდგება საქმე, ისეთი მწერლების ელვარე სტრიქონებს და მოსაზრებებს მოვაგონებ როსტომ ჩხეიძეს, რომ ძნელი იქნება მათთან ლევან გოთუას სახელით ჭიდილი.

თუმცა როსტომ ჩხეიძე ლევან გოთუასაც საყვედურობს, რომანტიკული ელფერი შეუნარჩუნა დიდი მოურავის აღსასრულსო, ვეჭვება მისგან მოძულებული მხედართმთავარი რაიმეს თუ მოინანიებდა სიკვდილის წინ.

ამ თემაზე კამათს მე [illegible] ქცევი. ოღონდ [illegible]მა, ვინც უნდა იყოს იგი, კამათში მეცნიერული მეთოდის დაცვას მოვითხოვ. სხვისი მოსაზრების იოლად გადახაზვა არც მე გამიჭირდება, მაგრამ რას მოგვცემს ეს?

როსტომ ჩხ[illegible]მ დასწამა და არგუმენტებით [illegible] დაამტკიცა, პასუხი არგუმენტი მოითხოვა, არგუმენტსა და მის ანალიზს თუ კომენტარს მეტი ადგილი დაჭირდა. ყველაფრისათვის არ გამიცია პასუხი. ცოდვაა გაზეთი.

როსტომ ჩხეიძე წერს:

„...მას კი სამაგიეროს გადახდის ჟინი არ აძლევდა მოსვენებას: ბაზალეთის მარცხი კვლავაც გულს უფატრავდა და ისე როგორ ჩასულიყო სამარეში, თეიმურაზ I-ის ჯავრი არ ამოეყარა".

არ არის სწორი!

„... საბჭოურმა იდეოლოგიამაც — ისტორიოგრაფიამ და ხელოვნებამ ხალხის გონებაში მტკიცედ ჩაბეჭდა ეს კულტი, ისეთივე მონუმენტური და ხელშეუხებელი, როგორც რევოლუციისა და სამოქალაქო ომის გმირები".

არ არის სწორი!

„მაგრამ დიდი მოურავის სახელის შელამაზებისათვის ზრუნვა, გვინდა თუ არ გვინდა, იწვევს სააკაძის პიროვნული სახისა და ისტორიული მოვლენების გადასხვაფერებას!"

არ არის სწორი!

„სააკაძე არც მე-17, არც მე-18, და არც მე-19 საუკუნეებს ეროვნულ გმირად არ უღიარებიათ".

არ არის სწორი!!!

„ამ ნარკვევებში (იგულისხმება ა. ბაქრაძისა და თ. ნატროშვილის წერილები) აღდგენილი ისტორიული სურათები ის შეუვალი სიმართლეა, რაც საბოლოოდ გადააფასებს წარმოდგენებს გიორგი სააკაძეზე".

არ არის სწორი!!! ყველაფერი ეს შესწავლილია. არგუმენტებითა და ცნობებით არის დასაბუთებული სრულიად საწინააღმდეგო სურათი ჩემს წიგნში „გიორგი სააკაძის პიროვნება". იქ პასუხი გაცემული ყველა ბრალდებაზე, ოღონდ როსტომ ჩხეიძე არავის არ ცნობს თავის თავისა და იმ მწერლების გარდა, ვისი შეხედულებებიც ხელს აძლევს.

დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა მის წერილსაც და ჩემს წიგნსაც, შეაფასებს პირუთვნელად! თუმცა რა აზრი აქვს ჩვენში სხვის თავაულებელ შრომას! სააკაძის საგვარეულოს მტრებს თავისი შთამომავლობა კიდეც რომ არ ჰყავდეს, მოეპრიანება ვინმეს საპირისპირო აზრის გამოთქმა, გადმოისვრის მოწამლულ აზრებს და უმტკიცე მერე...

ჯანსულ ღვინჯილიას, გივი ჯამბურიას, თვით აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის შეხედულებებს რატომ ჩავაგდებთ სათვალავში, როცა გენიალური ვაჟა-ფშაველას საყვედურს არავინ უგდო ყური. გავიხსენოთ მისი ლექსი „გიორგი სააკაძის სურათზე":

„ცალკერძ შენა ხარ
და შენს პირდაპირ
მეორე სახე მე მეხატება.
შენის ქვეყნისა [illegible]
რამდენი ფიქრ[illegible]
თუ ვერ ვიგუ[illegible]
კარგი შვილები რ[illegible]
შვილის სიკეთე მშობელს [illegible]
ნამდვილ მშობელსა ეს ეკა[illegible]
ცრემლები მღრჩობს, ველარას [illegible]
კარგის დალუპვა [illegible]
ჩვენი შვილისა, ჩვენივე ძმისა?
ველარას ვიტყვი, [illegible]
ჩემო ქვეყანავ, ჩემო [illegible]
არ გეკადრება, არ გეკადრება!

ნურავინ მიცემს თავ[illegible] თქვას, გენიალური [illegible] ვაჟა-ფშაველა, მაგრამ ეს მაინც [illegible]რი ემოციის გამოხატულება[illegible]. რაც სააკაძის ფენომენზე ამ ლექსის დაწერამდე ვაჟა-ფშაველას აქვს ნაფიქრი, მისი მეათედი რომ გვეფიქრა იმავე საგანზე ვაჟა-ფშაველას საყვედურის მოსმენის შემდეგ მაინც, მე წიგნის დაწერა ნამდვილად არ დამჭირდებოდა.

# რა ხდება აბაშაში

## აბაშის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოხსენება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრებისადმი

მე დღეს ოფიციალურად გამოვდივარ თქვენს წინაშე რეგიონული ორგანიზაციის სახელით და კატეგორიული ფორმით ვაყენებ საკითხს აბაშის რაიონში შექმნილ უკიდურესად მწვავე სოციალური და პოლიტიკური სიტუაციის თაობაზე. რის შესახებაც ვპჭვობ, რომ რესპუბლიკის მთავრობას ჰქონდეს სწორი შეხედულება.

საქმე შემდეგში გახლავთ:

პირდაპირ ვიტყვი, დღეს აბაშის რაიონს მართავს თვითმარქვია საქმოსნურ-მაფიოზური ელიტა, რომელმაც ხელში ჩაიგდო ეკონომიკური ბერკეტები, საბანკო და სავაჭრო ოპერაციების წარმოების ყველა ნიუანსი, ადგილობრივი თვითმმართველობა ატყუებს რესპუბლიკის დღევანდელ ხელმძღვანელობას, რაიონის მოსახლეობას აყენებს უკიდურესი სოციალური აფეთქების საშიშროების წინაშე.

თავდაპირველად მოგახსენებთ თვითონ რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევის კანონიერების შესახებ. მიმდინარე წლის 21 იანვარს აბაშის რაიონის დროებით რწმუნებულად დაინიშნა ადგილობრივი მკვიდრი, „წვრილ-ბითუმ ვაჭრობის" დირექტორი სოსო ჭანტურია, ადამიანი, რომელსაც არაფრით არ გამოუჩენია თავი ეროვნულ მოძრაობაში. აქვე გულახდილად ვიტყვი იმასაც, რომ ს. ჭანტურიას დანიშვნას იმ პერიოდში მხარი დავუჭირეთ მხოლოდ იმის გამო, რომ რაიონში იყო სრული ქაოსი და ეკონომიკური სიდუხჭირე, არ იყო პური, ელექტროენერგია, საწვავ-სათბობი, ამას დაერთო მკაცრი ზამთარი და რაც მთავარია, იყო პოლიტიკურად მძაფრი კონფრონტაციის საფრთხე საზოგადოების ცალკეულ ფენებს შორის. კვების და პირველადი მოთხოვნილების საქონლის მარაგი კი იყო ს. ჭანტურიას ხელში.

ჩვენი ორგანიზაციის ძალისხმევით თანდათან მიღწეულ იქნა პოლიტიკური სტაბილიზაცია სხვა მეზობელ რაიონებთან შედარებით, ეს მიღწეულ იქნა ძირითადად იმით, რომ რაიონში არსებულმა „მრგვალი მაგიდის" ორგანიზაციებმა და დამხობილი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა შევძელით პოლიტიკურ დიალოგამდე მივსულიყავით. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა რაიონის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ძირითადად პრესა. მართალია, ჩვენს ასეთ იდეოლოგიურ ბრძოლას პრესის ფურცლებზე მოჰყვა ექსპრეზიდენტის მომხრეთა მძაფრი საპასუხო რეაქცია კოლექტიური თუ ანონიმური წერილებისა, პროკლამაციების და სხვათა სახით, რაც დღემდე გრძელდება, მაგრამ წინააღმდეგობანი თანდათან გადაილახა და დღეს მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, სწორდება, ხალხი ობიექტური რეალობისაკენ არის გადახრილი. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ აბაშის რაიონში აღმავლობით ჩაიარა საპარლამენტო არჩევნებმა.

ვუბრუნდები ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს გამგეობის საკითხს: მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ს. ჭანტურიამ შექმნა თვითმართველობის ორგანო-გამგეობა, ყოველგვარი არჩევნების და ალტერნატიული კანდიდატურების გარეშე. მეტსაც მოგახსენებთ, გამგეობის არჩევნების თაობაზე არ ყოფილა ინფორმირებული რაიონში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები. ფაქტობრივად დაინიშნა გამგეობა ხუთი კაცის შემადგენლობით, რაზედაც არაერთხელ განვაცხადეთ პროტესტი წერილობითი ფორმით. ჩვენი არაერთგზისი მოთხოვნა, რომ გამგეობის წევრად ყოფილიყო პოლიტიკური ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი მაინც, დარჩა უშედეგოდ.

გამგეობის თავმჯდომარე ყოველნაირად ცდილობს რაიონში არ არსებობდეს სახალხო ფრონტის რაიონული ორგანიზაცია, მისი სიტყვებია: „პოლიტიკა არ გამაგონოთ, ჩემი პოლიტიკაა მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესი, დანარჩენი მე არ მჭირდება." ზემოთ თქმულის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ს. ჭანტურიამ გამოსცა განკარგულება სახალხო ფრონტის სამუშაო ოთახი გადაცემოდა რაიონის კონტროლის პალატის თავმჯდომარეს გ. ზაქარაიას, რომელიც ამ ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარეა და როგორც ადრე რაიონის პროკურატურაში მომუშავე, ექსპრეზიდენტის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის შესაბამისად დროებით გასული იყო სახალხო ფრონტის წევრობიდან.

ასეთი მოქმედებით გამგეობის თავმჯდომარე შეეცადა განხეთქილება შეეტანა ჩვენს ორგანიზაციაში პრინციპით: „დაყავი და იბატონე", მაგრამ მან ამას ვერ მიაღწია...

მიმდინარე წლის სექტემბერში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რაიონის აგრობანკიდან ცალკეული წარმოებების, კოოპერატივების, ასოციაციებისა და ფირმების მიერ სექტემბერ-ოქტომბერში გატანილ იქნა ნაღდ ანგარიშზე დაახლოებით 10 მილიონ მანეთამდე თანხა. აღნიშნული თანხები გატანილია უშუალოდ გამგეობის თავმჯდომარის ს. ჭანტურიას უკანონო სიტყვიერი დავალებით თითქოსდა საწვავის ღირებულების სახით, ფაქტობრივად კი რაიონში წარმოებათა და ფირმათა 99 პროცენტი პარალიზებულია, არ მუშაობს არც ერთი სახის ტრანსპორტი, რაც გრძელდება თვეების განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ საწვავის ღირებულების სახით ამ რაოდენობით ბანკიდან ნაღდი ფულის გატანა დანაშაულებრივია და მოითხოვს დაუყოვნებლივ სათანადო ორგანოების მხრიდან რეაგირებას.

აღნიშნულზე ჩვენ საქმის კურსში ჩავაყენეთ რაიონის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, რომელიც სამსახურებრივად ვალდებულია გაარკვიოს მილიონობით ნაღდი ფულის ბანკიდან გატანის კანონიერება და დააყენოს საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე.

მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს კონტროლის პალატის თავმჯდომარე აღნიშნულზე ოფიციალური წერილობითი მომართვით შევიდა რაიონის აგრობანკის განყოფილებაში, მაგრამ ბანკის მმართველისაგან ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო. უარის მოტივი არის ის, რომ ბანკს ადგილობრივი თვითმართველობის გამგეობის გარეშე აკრძალული აქვს ყოველგვარი ცნობების გაცემა, რაც ფინანსებთან არის დაკავშირებული.

ამდენად, ზემოაღნიშნული თანხების მიზნობივად და კანონიერად გატანის საკითხის შემოწმება ჩვენი და რაიონის კონტროლის პალატის ძალებით შეუძლებელია.

მიმდინარე წლის აგვისტოში რაიონის აგრობანკში გაიხსნა ეროვნული თავდაცვის ფონდის ანგარიში. 1 სექტემბერს ჩვენს მიერ გამგეობას გადაეცა ოფიციალური წერილობითი მოთხოვნა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად წინადადებას ვაძლევდით, რომ თავდაცვის ფონდში მაქსიმალურად ჩარიცხულიყო თანხები. პირველ 10 დღეში მართლაც სისტემატიურად ირიცხებოდა სოლიდური თანხები, მაგრამ მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში გაიხსნა ცალკე ანგარიში, სადაც უნდა გადარიცხულიყო ცენტრალიზებულად ეს თანხები, რაიონის გამგეობამ [illegible] ეს ანგარიში მხოლოდ 252 ათას მანეთზე. მეტიც, თავდაცვის ფონდის ანგარიშზე აგრობანკში არსებული თანხიდან 200 ათასი მანეთი გადარიცხულ იქნა რაიკოოპერატივის ანგარიშზე ისე, რომ ამის შესახებ ცნობილი არ არის რესპუბლიკის მთავრობისათვის. აბაშის რაიონიდან არც ერთი მანეთი ეროვნული თავდაცვის ფონდში ჩარიცხული არ არის. აქედან გამომდინარე:

მე ვსვამ კითხვას: რაიონის გამგეობის თავმჯდომარის ასეთი მოქმედება არის თუ არა რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის ინტერესების საზიანოდ მიმართული?

რაიონში სრულიად უპასუხისმგებლოდ ექცევიან ბუნებას, მასობრივად განადგურდა ტყის მასივები, ქარსაცავი ზოლები, მწვანე ნარგავები, მოიჭრა ათასობით კუბური მეტრი ხე-ტყე. ყველაფერი ეს მოხდა ს. ჭანტურიას მმართველობის პერიოდში, გამკითხავი და პასუხის მომთხოვნი კი არავინ ჩანს.

საკადრო პოლიტიკა:

დღეისთვის, რაიონის სინამდვილეში გამგეობის მხრიდან მიმდინარეობს ფარული ბრძოლა ყოველგვარი უზნეო და მავნე ხერხებით ჭეშმარიტი ეროვნული ძალებისა და პატიოსანი მოქალაქეების წინააღმდეგ. ყველაფერი კეთდება სახალხო ფრონტის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის წევრთა ცილისწამებისა და მათი დისკრედიტაციისათვის. ჩვენ ვიმყოფებით აშკარა ტერორის საფრთხის წინაშე, რაც შეიძლება მეტად სავალალო შედეგებით დამთავრდეს. გამომდინარე აღნიშნულიდან, დარბაზის წინაშე კატეგორიულად ვაყენებ საკითხს, რომ იმსჯელოთ ყველაფერზე და მიიღოთ სათანადო რეზოლუცია, საქმის კურსში დროულად ჩააყენოთ რესპუბლიკის მთავრობა, გამოიყოს კომპეტენტური კომისია ვითარების შესწავლის მიზნით.

**მ. ჟელიძე**

*საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი, აბაშის რაიონის სახალხო ფრონტის თავმჯდომარე*

# „ბოდიში, საქმეს ახლა ასე სჭირდება"...

ამ არეულ და დუხჭირ დროში არაფერი უნდა გაგიკვირდეს კაცს. არც ის გამკვირვებია, როცა თბილისიდან ზუგდიდს მიმავალთ „იკარუსის" მძღოლმა სულზე რვაასი მანეთი გამოგვართვა. რას იზამ, უბენზინობაა, დიზელის საწვავიც დეფიციტია და ეცირება ამჟამად მანძილზე მგზავრობა რვაასი მანეთი, აბა რა იქნება-მეთქი, ვინუგეშე თავი.

ხობამდე ისე ვიმგზავრეთ, არც ინსპექციას შევუწუხებივართ და არც სხვა ვინმე ავტომატიანს. ხობში კი, ქალაქის ცენტრში შესასვლელ ხიდთან განლაგებულმა გვარდიელთა საგუშაგომ გზა გადაგვიღობა, მანქანებიდან ჩამოგვსხა და შეუდგნენ მგზავრთა და მათი ხელბარგის ჩხრეკას. განსაკუთრებული ყურადღებით იმათ ეკიდებოდნენ, ვისაც პასპორტში ზუგდიდური მისამართები ეწერით. მოვალეობას იხდის ეს [illegible] რი, იტყოდა [illegible] ოსანი კაცი [illegible] ებოდა, რომ [illegible] არიგება, მძღოლ- [illegible] ერთ გვარდიელს [illegible] ომ მიმდინარეობდა ავ- [illegible] უკან, რაც, საბოლოოდ, [illegible] მხარის ერთიერთშეთანხმე- [illegible] დამთავრდა და შედეგად კი ის მოჰყვა, რომ დაგვრთეს ნება ავსულიყავით ავტობუსში და გზა განგვეგრძო.

ამასობაში შემოგვაღამდა კიდეც და გავსწიეთ წინ, ზუგდიდისაკენ. სამას მეტრში კიდევ ერთი გვარდიელთა საგუშაგო გადაგვეღობა, სადაც გვარდიელებთან ერთად პოლიციელებიც და ადგილობრივი მოხალისეებიც იდგნენ. აქ მძღოლმა შეანელა მანქანა, ერთ-ერთ ვიორმანს ანიშნა, იქ უკვე გავილე გასაღებიო და ამათაც გაგვიშვეს. ერთი რამ კი იყო უცნაური: ერთი ავტომატიანი ჰორიზონტს დიდი სიამოვნებით უშენდა მანათობელ ტყვიებს, არ ვიცი კი, სიამოვნებდა ეს პროცესი თუ ვინმეს რამეს ანიშნებდა.

ასეა თუ ისეა, გავცდით ხობს და ცაიშთან მიახლოებულებს ერთი ახალგაზრდა ყმაწვილის ხმამაღალი ნათქვამი შემოგვესმა — მივედით უკვე უპატრონო ქვეყანაშიო. ერთი პირობა კი მეწყინა, მე თვითონ ზუგდიდელი ვარ და ასე აგდებულად რატომ იხსენიებს ეს კაცი ჩემს მშობლიურ რაიონს-მეთქი. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, ჭეშმარიტებას ლაღადებდნენ თურმე ამ ჭაბუკის ბაგენი. მართლაც, არ გასულა ხუთი წუთი ამ სიტყვების წარმოთქმიდან, რომ გვერდით ამოგვიდგა „კამაზის" მარკის ავტომანქანა და იარაღის მუქარით მძღოლს მანქანა გააჩერებინეს.

— დაიწყო... ახლა გაგვფცქვნიან თავიდან ბოლომდეო — აჩურჩულდნენ მგზავრები. ზოგმა ფული გადამალა, ზოგმა ბეჭედი, საყურე, ზოგმაც ქურთუკი.

ამასობაში მძღოლი და მისი მეწყვილე ქვევით ჩაეგებნენ ყაჩაღებს, რომელთაგან რამდენიმე ფეხზეც ძლივს იდგა სიმთვრალისაგან თუ ნარკოტიკისაგან და იარაღს ისე ატრიალებდა ხელში, როგორც კაკლის საბერტყ ჯოხს.

— ჩამოსხი ხალხი... მანქანა, გვჭირდება ახლა ჩვენ. — განაცხადეს შეუვალი სახით და თან მგზავრებიც აათვალიერ-ჩაათვალიერეს. ამ დროს ავტობუსს უკანა მხარეს უნომრო „მოსკვიჩიც" მიადგა და ყაჩაღებმა და მძღოლებმაც სავაჭრო მორიგებისთვის ამ მანქანისკენ გადაინაცვლეს. ნახევარსაათიანი გარიგების შემდეგ, როგორც იქნა, გაგვიშვეს. რაც მართალია, მართალია: არცერთი მგზავრისთვის არაფერი წაურთმევიათ, ავტობუსში არც ამოსულან. მხოლოდ ერთმა ყაჩაღმა თავაზიანად მოგვიბოდიშა: ბოდიშს ვიხდით ახლა, საქმეს ასე სჭირდებაო.

აბა, ვინ გაბედავდა ეკითხა, რა საქმეს სჭირდებაო?

მძღოლმა კი გაიღო გასაღები და ყარაულების უფროსმა თავაზიანად გაგვაცილა ცაიშ-ზუგდიდის უკაცრიელი მონაკვეთი, აქაოდა, თუ ვინმე დაგვეცათ თავს, ჩვენ გიშველითო.

ვის უნდა დაუჯეროს კაცმა და ვის უნდა ენდოს ყოველივე ამის შემყურე? კანონიერ გვარდიელებს, რომლებიც უკანონო ბაჟს იღებენ ამვლელ-ჩამოვლელი მანქანებისაგან თუ კანონგარეშე ყაჩაღებს, რომლებიც იგივე ბაჟს (რა თქმა უნდა, უკანონოდ) იღებენ უკაცრიელ გზებზე მოახლოებული მანქანებისგან და ყასიდად ბოდიშსაც რომ იხდიან, რა ვქნათ, საქმეს ასე სჭირდებაო?

თვით ზუგდიდში დღეს ბენზინი სანთლითაა საძებარი (თუ იშოვე, 200 მანეთზე ნაკლებად არ არის), არც დიზელის საწვავია დიდი რაოდენობით (აქაურთა თქმით, ესეც მალე გამოილევაო) და დადის ხალხი ფეხით, ცხენით, თუ ბედმა გაგიღიმა და იშოვე — ტრაქტორით, „კამაზით"...

კვლავ არ მუშაობს საწარმო-დაწესებულებათა დიდი ნაწილი, კვლავ არ ცხვება პური (უკვე მესამე თვეა), ბოლო არ უჩანს ყაჩაღობას, ქურდობას, ბანდიტიზმს. ჩემს იქ ყოფნაში (რაღაც სამიოდ დღეში) სამი ოჯახი გაძარცვეს. ეს მე რაც ვიცი და რაც არ ვიცი, იმაზე ვერც ვერაფერს ვიტყვი. ფაქტი კი ერთია: ზუგდიდს დღეს პატრონი არ ჰყავს. თვითდინებაზეა მიშვებული ყველაფერი. აქაურები ხუმრობენ, რა თქმა უნდა მწარედ, დღისით ყოფილი ხელისუფლების მომხრეებია ხელისუფლები, ღამით კიდევ ყაჩაღებიო.

იმასაც კი ამბობენ, რომ გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული რაზმები ცდილობენ აღკვეთონ ბანდიტიზმი, ებრძვიან ყაჩაღებსო. მართლაც, ჩემს იქ ყოფნაში, ნაროუშვილის ბანდის წევრები აიყვანეს და თვით ნაროუშვილიც დაიჭირეს, ოღონდ მერე გაექცათო. ეტყობა, სწორედ გამსახურდიას მომხრეთა შეიარაღებულ რაზმების ხელმძღვანელობის ინიციატივით გაკეთდა ასეთი პლაკატი ჯვარი-სოხუმის გზაგასაყარზე: კანონი ყველასათვის ერთი უნდა იყოს!

აგაშენა ღმერთმა! რა სჯობია ამას, მაგრამ მოწოდებას შესრულება ხომ უნდა.

ბაზარს ცეცხლი უკიდია. აქ რომ ფასებია, ასეთი, ალბათ, საქართველოს არცერთ რეგიონში არ იქნება. კარტოფილი ოთხმოცი მანეთი, კარაქი 500—600 მანეთი, შაქარი 300—350, სულგუნი 700—750 მანეთი ღირს. ხორცი კია იაფად, 150—160 მანეთი ღირს, მაგრამ როგორც ამბობენ, გლეხები ახლა დიდძალ საქონელს კლავენ, ზამთრისთვის საკვები არა აქვთო. ზამთარში ნახეთ, როგორ გაწყდება ხორციო.

სასიკეთო ცვლილებებიც არის ქალაქში. ადრე თუ ზუგდიდის ჯიხურებში გაზეთებს საერთოდ ვერ ნახავდი, ახლა დასტა-დასტად აწყვია „საქართველოს რესპუბლიკა", „ივერია-ექსპრესი", „საქართველო", „7 დღე" და ა.შ. მაგრამ ყველაზე ძვირი (15 მანეთი) და ყველაზე პოპულარული გაზეთი მაინც „აღდგომაა" თურმე-გამსახურდიას მომხრეთა გაზეთი, რომელიც ნომრიდან ნომრამდე ისე იყიდება, ერთიც არ რჩებაო.

ასე ცხოვრობს დღეს ზუგდიდი. უპუროდ, უბენზინოდ, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავს. იმედს იმისას, რომ დაწყნარდება ეს ქვეყანა, დალაგდება ცხოვრება და ზუგდიდელი კაცი ზუგდიდში ისე ჩავა, რომ ხობში ბაჟი არ გადაიხადოს, გზაში ყაჩაღი არ დახვდეს, სახლში ბანდიტი არ მოუვარდეს, კანონი კანონობდეს და პური სანატრელი არ ჰქონდეს.

იმედით ცხოვრობს კაცი და ღმერთმა ქნას, ახდეს ზუგდიდელთა ეს იმედიც.

**სერგო რუხელი**

**ზუგდიდი-თბილისი**

# მურმან ლებანიძე — 70

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ულოცავს მურმან ლებანიძეს დაბადების სამოცდაათი წლის თავს, უსურვებს მას შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს და ამასთან, გალაკტიონის დაბადების ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით გთავაზობთ მურმან ლებანიძის მცირე წერილსა და მისსავე რამოდენიმე ლექსს, (როგორც თვითონ იტყოდა) „დიდი მასწავლებლის" შესახებ დაწერილი ციკლიდან.

# გალაკტიონი

გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების მესამე დღეს, ჯერ კიდევ დაკრძალვამდე, გაზეთ „თბილისის" ფურცლებზე მე ვწერდი: „საფიქრებელია, ბარათაშვილი ვერ გრძნობდა თავის გენიალობას; სხვაა გალაკტიონი. გალაკტიონის ცხოვრება და პოეზია იყო განუწყვეტელი ლტოლვა ზენიტისაკენ. გალაკტიონმა იცოდა თავისი ფასი. გალაკტიონი თვითშეცნობილი პოეტური გენია იყო." და გამოსათხოვარ წერილს ასე ვამთავრებდი: „გალაკტიონს დიდება არ აკლდა, მაინც, ვფიქრობ, მისი ნათელი იმატებს..."

ისე ყოველი კარგად აგიხდეთ, როგორც სულ რამდენიმე წელიწადში პოეტის გიგანტური ფიგურა მთელი სიცხადით გამოიკვეთა მისი თანამედროვე პოეზიის ფონზე და სიტყვაშეუბრუნებელი მანძილით ასცილდა საუკუნის პოეტური ცხოვრების ყოველდღიურობას, რომლის წიაღშიც იგი ტრიალებდა და სადაც მას, როგორც ყოველ ძეხორციელს, თავსაც კი უტოლებდნენ. ის წყალგალმა აღმოჩნდა და ახლა ჩვენ ერთმანეთს შევეჯიბრეთ მის განდიდებაში; ახალ ეპითეტებს დავუწყეთ ძებნა და ისიც გვეცოტავა, რაც ცოტა ხნის წინ გვებევრებოდა.

„უსაზღვროა გალაკტიონ ტაბიძის დამსახურება ქართული ლექსის განვითარების საქმეში, განუზომელია გალაკტიონის გავლენის ძალა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაზე. მსოფლიო პოეტური კულტურის გამოცდილებაზე დაყრდნობით, გალაკტიონ ტაბიძე თვისობრივად აახლებს ქართულ ლექსს, ნახევარი საუკუნის გრძელ გზაზე ტიტანურ შრომას ეწევა და ქართული პოეზია ახალ შარაზე გამოჰყავს. გენიოსის გუმანი შეუცდომლად უკარნახებს, არ მოსწყდეს მშობლიურ ნიადაგს, ქართული სიტყვის ფერ-ხორცით, ქართული კლასიკური თუ ხალხური პოეზიით იკვებებოდეს, ერის ჭირ-ვარამითა და ეროვნული იდეალებით საზრდოობდეს. უახლეს ქართულ პოეზიაში არ არსებობს პოეტი, რომელსაც ამდენი შედევრით გაუმდიდრებია მშობლიური ლიტერატურა. მეოცე საუკუნის ქართველი პოეტის — გალაკტიონ ტაბიძის სახელი მშობელმა ერმა ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე ჩაწერა უკვდავთა თანავარსკვლავედში..."

ეს სტრიქონები, რომლებიც მე გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო „რჩეულის" საკუთარი სარედაქციო წერილიდან ამოვკრიბე, განსაკუთრებულს არაფერს ამბობს, იგი ტრაფარეტია, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებულ, გაბატონებულ აზრს გამოხატავს დიდი მასწავლებლის გარდაცვალებიდან სულ რაღაც თხუთმეტი წლის შემდეგ.

მაგრამ ყოველივე საყოველთაოდ აღიარებული, ასევე, საყოველთაოდ გასაგები როდია. გასაგებია გალაკტიონის პოეზია და უდიდესია მისი ზემოქმედების ძალა, ოღონდ გამოცანაა — საიდან მომდინარეობს ეს ძალა. ლაპარაკია ტექნიკურ შეიარაღებაზე, ეგრეთ წოდებულ „ხელობის" საკითხებზე, რაც მკითხველისათვის მიუწვდომელია და არც არის საინტერესო, მაგრამ განუზომლად მნიშვნელოვანია თვით პოეტებისათვის. გალაკტიონის პოეზიის მკვლევარებს აინტერესებთ პოეტების აზრი შესახებ იმისა, თუ რა გავლენა მოახდინა თანამედროვე ქართულ პოეზიაზე და რა გავლენა შეუძლია მოახდინოს მომავლის პოეზიაზე გალაკტიონმა; ესე იგი, რა შეისწავლესგალაკტიონისაგან თანამედროვე პოეტებმა და რა შეუძლიათ შეისწავლონ მისგან ხვალის პოეტებმა. უზომოდ ბევრი!-ვპასუხობ მე და ერთს, ყველა პოეტისთვის მნიშვნელოვან ასპექტს გამოვყოფ.

ისევე, როგორც გურამიშვილმა მეთვრამეტე საუკუნეში, გალაკტიონ ტაბიძემ მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე გრანდიოზული ტექნიკური რევოლუცია მოახდინა ვერსიფიკაციის, კერძოდ რიტმიკის სფეროში: განავითარა და სრულყო ძველი ტრადიციული რიტმები, — დაამუშავა და მწყობრ რიცხვებად აქცია აქა-იქ სტიქიურად მონიშნებული, ზოგჯერ ცალკეულ ავტორთა მიერ წინასწარ განუზრახველად, შეცდომით გამხელილი რიტმები, შექმნა საკუთარი, მანამდე ქართულ პოეზიაში საერთოდ არარსებული ათეულობით რიტმი, საშუალება მოგვცა და შესაძლებლობა დაგვიტოვა კვლავაც არაერთის შესაქმნელად. მერედა, რა გახდა, ბოლოს და ბოლოს ეს რიტმი?! — იკითხავს საქმეში ჩაუხედავი კაცი. ხოლო პროფესიონალი უმალ ხვდება, თუ ერთადერთი, რაგინდა-რა ძვირფასი საკრავის მეპატრონისაგან განსხვავებით, როგორი მძლავრი ორკესტრის დირიჟორად აქცევს პოეტს ათეულობით რიტმის ფლობა, რამხელა საშუალებას აძლევს მას შეუზღუდველად ითარეშოს ბუნებრივ ფრაზათა, მშვენიერ გამოთქმათა სამყაროში, არ ჰკრიჭოს და არ განავრცოს ისინი ხელოვნურად მისთვის ცნობილი თითო-ოროლა რიტმის ფარგლებში და ამით პირველყოფილი მშვენიერება შეუნარჩუნოს მათ. აი, ასეთი მძლავრი შეიარაღება დაგვიტოვა ჩვენმა მასწავლებელმა, სირცხვილია და მხოლოდ ულონობას მოასწავებს მისი გამოუყენლობა. სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე პოეტების უმრავლესობა საერთოდ ვერ ფლობს მხამხარეულად გადმოცემულ ძვირფას იარაღს, თითო-ოროლა რიტმში გაწაფულა, ან რომელსამე ერთს მისცივებია, რაც ერთფეროვნების, მონოტონურობის დაღით აღბეჭდავს მის შემოქმედებას.

რაც შეეხება ახალი რიტმების ქმნადობას — ძალიან იშვიათად!

...

გალაკტიონის პოეზიის მილიარდ საიდუმლოებათაგან მე განგებ ერთზე (თუმც კი ერთ-ერთ უმთავრესზე!) გავამახვილე ყურადღება, რათა დაწვრეული ლექსით გატაცებული ახალი თაობებისათვის შემეხსენებინა, რომ ლექსი, პირველ ყოვლისა, წყობილი სიტყვაა და შემდგომ — სხვა დანარჩენი.

მურმან ლებანიძე

1976 წ.

როგორც მწვრთნელი
  შიშითა და ძრწოლით
შორიახლოს ლომს
  მიჰყვება ბებერს,
რუსთაველზე მიჰყვებოდა
  ცოლი
საქართველოს პოეტების
  მეფეს.
სტუდენტებმა მოიხადეს
  ქუდი
და ღიმილი მგოსანს
  მიაგებეს.
ლუდხანაში ჩამოუსხეს
  ლუდი
საქართველოს პოეტების
  მეფეს.
ერთი ჭიქით, ერთი ჭიქით
  მთვრალი,
ჰყვება: „სისხლით
  ქრისტესავით მღებეს!"..
მთაწმინდისკენ
  გაუშტერდა თვალი
საქართველოს პოეტების
  მეფეს...
აწ პარნასი გულში
  იკრავს სევდით
ბილიკების შეუშინარ
  მძებნელს —
სძინავ ბალში, კოჰლი
მხედრის გვერდით
საქართველოს პოეტების
  მეფეს.

1968 წ.

# გალაკტიონი — 100

უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა,
იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა,
გავაღე კარი: თეთრი თოვლი შემომეფეთა,
მივხურე კარი: მარტოობამ დაისადგურა!
ამიერიდან მე მარტო ვარ...

1922 წ.

ჩემს გალაკტიონს მე
  ვკითხე ერთხელ
(ის მთვრალი იყო,
  როგორც
    ყოველთვის):
—ბატონო გალაკტიონ,
თქვენ პირველი ხართ,
  დაგვისახელეთ
    მეორე პოეტი...
უცებ, ჭინკებით
  გაევსო თვალი—
თვისი სიმაღლით ის იყო
  მთვრალი,
—საქართველოში???
  — ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე
  მოისვა
    ბრჭყალი...

1968 წ.

— ჩამოჰკარი ჩანგს!
  ჩამოჰკარი ჩანგს!
არის ჩანგების ზრიალი ხოროდ —
რა, რა სჭირდება ახლა
  ქართველ ხალხს,
ო, ჩანგო ჩემო,
  შენ უწყი მხოლოდ!—
ასე გამღერდა მშობლიურ
  მთა-ბარს,
ასეთი იყო მეფე და ბავშვი,
აფრიალებდა ცად ლომურ ფაფარს
და მოჰღერცოდა ჭალარა ქარში...
აწ აღარ მოდის
  ოცნების ბაღში
მკერდბუმბერაზი მგოსნების
  მახვში,
მაგრამ სიმღერა
  ლურჯი და ურჩი
ისევ და ისევ წკრიალებს
  ყურში:
—ჩამოჰკარი ჩანგს!
  ჩამოჰკარი ჩანგს!—
სხვათა ჩანგები
  ზრიალებს ხოროდ—
რა, რა სჭირდება
  ქართველ ხალხს,
ოჰ, ჩანგო ჩემო,
  შენ უწყი მხოლოდ!

1968 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს...

ფაქტია, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ საგარეო ურთიერთობათა სფეროში . შეუდარებლად დიდ წარმატებებს მიაღწია, ვიდრე საშინაო ფრონტზე. შინააშლილობის, ანარქიული პროცესების ფონზე, მართლაც რომ მომგებიანად გამოიყურება ის შედეგები, აქტიურად წარმართულ საგარეო პოლიტიკას რომ მოჰყვა: მრავალ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაფორმება, საელჩოების გახსნა თბილისში, გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ჰელსინკის პროცესში...

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სოციალური, ეკონომიკური, კრიმინოგენური, ერთი სიტყვით, საშინაო პრობლემებით (აღარაფერს ვამბობ აფხაზეთის ომზე) სავსეგამწარებული „ჩვეულებრივი“ მოქალაქისათვის დღეს უკვე შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს,“ვინ დაგვიქნია ხელი, „გიცანით, გიცანითო!“...

* * *

— აჰა, „ცნობით“ შემოსაზღვრა რა საკადრისია! — იტყვის ოპონენტი, — მაშ, საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკში გაერთიანება რა არის?! განა ევროგაერთიანებამ ამ ბანკების მეშვეობით არ გამოგვიყო კრედიტები, კერძოდ, 70 მილიონი ეკიუს (90 მილიონი დოლარი) სესხი?!.

* * *

და აქ, ოპონენტი, რასაკვირველია, მართალია. ამ კრედიტის მბავი რამდენიმე თვეა, მთელმა საქართველომ ზეპირად იცის — ხელისუფლების ეშელონის მაღალი წარმომადგენლები (კერძოდ, ბატონები თენგიზ სიგუა და ოთარ ქვილითაია) ხომ ლამის ყოველდღიურად ლაპარაკობდნენ ამ სესხზე; რომ იგი გამოყოფილია მარცვლეულის, სასურსათო პროდუქტების შესასყიდად; რომ ფორმდება სათანადო კონტრაქტები; რომ მალე, „სექტემბრის პირველ ნახევარში... სექტემბრის მეორე ნახევარში... ოქტომბრის პირველ ნახევარში... ოქტომბრის მეორე ნახევრში... ნოემბრის პირველ ნახევარში... დაიწყება შეძენილი პროდუქტების შემოტანა საქართველოში“ და „ცოტა სულს მოვითქვამთ“.

* * *

და ჩვენც სულმოუთქმელად ველოდით... ველოდით... ველოდით... ველოდით... ველით...

იმედიანად ვადევნებდით თვალს ბატონ ოთარ ქვილითაიას „საკონტრაქტო ვიზიტებს“ უცხოეთში...

* * *

და აი, ახლახანს მოხდა ამ, ყბადაღებულ სესხ-პროდუქტებთან დაკავშირებული „კვანძის გახსნა“.

„გაიხსნა“ კი ამგვარად:

12 ნოემბერს პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას, ვიცე-პრემიერმა, ბატონმა რომან გოცირიძემ, მოკლედ დახატა რა ბიუჯეტში, ეკონომიკაში, სურსათმომარაგების სფეროში არსებული მძიმე სურათი, სინანულით აღნიშნა: კი, კრედიტები გამოყოფილია, მაგრამ არ მოხდა ამ კრედიტების დასაქონლება, შესაბამისი კონტრაქტების დადება. ხოლო არ დაიდო იმიტომ, რომ ვერ გამოიძებნა კაცი, რომელიც ევროპაში გააფორმებდა, ხელს მოაწერდა კონტრაქტებსო...

* * *

ეს, ერთგვარი სამთავრობო გაცხადება, რასაკვირველია, თვითკრიტიკულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით მთელი მთავრობა, მისი ყველა წევრი ერთნაირ პასუხისმგებლობას ვერ იტვირთავს (ყველას თავისი უბანი აქვს მინდობილი და მასზეა პასუხიმგებელი).

ასეა თუ ისე, დაპირება-დაპირებად, მომლოდინე მოსახლეობა — პირში ჩალაგამოვლებული დარჩა!

და სასტიკად იზარალა მთელმა სახელმწიფომ —

როგორც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ 16 ნოემბერს რადიოინტერვიუში აღნიშნა, ამასობაში (ევროპაში კაცის მივლინება რომ არ ხერხდებოდა — ფ.კ.) მსოფლიო ბაზარზე მარცვლეული, კარაქი, სხვა პროდუქტებზ 15—20 პროცენტით გაძვირებულა და ახლა ამ გაძვირებული ფასებით მოგვიწევს მათი შესყიდვაო!

* * *

აი, ასე, ვიღაცის თუ ვიღაცეების უპასუხისმგებლობის (მხოლოდ უპასუხისმგებლობის?!) გამო გალატაკებულ-დანგრეულმა ქვეყანამ სიმწრით ნაშოვნი მილიონობით ვალუტა უნდა იზარალოს (არ დაგვავიწყდეს, ეს ვალუტა ვალადაა აღებული, ვალს კი გადახდა უნდა!)!..

* * *

დღეს ჩვენში ბევრი ლაპარაკია სამართლებრივი, ცივილიზებული სახელმწიფოს აშენებაზე.

მაგრამ რა სახელმწიფოს აშენებაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც ზემოაღნიშნული ფაქტი (ფაქტები) ესოდენ „სახხვათაშორისოდ“ ხდება?!

სადაც პარლამენტი არავითარ ყურადღებას არ აქცევს, არავითარ რეაგირებას არ ახდენს აღნიშნულ ცნობა — „გახსნაზე“?!.

* * *

ვფიქრობ, კარგი იქნება, პარლამენტი ბევრი უსაგნო ლაპარაკისა და კომისიის ნაცვლად ამ ფაქტის (ფაქტების) შემსწავლელ კომისიას თუ შექმნის, რათა —

სიტყვა მართლა საქმედ იქცეს!..

ფელიქს კოჭიაშვილი



## სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება და გაზეთ „სარანგის“ რედაქცია გამოსაცემად ამზადებს მოგონებების კრებულს.

ვინც შეხვედრია ბატონ მერაბ კოსტავას, ურთიერთობა ჰქონია მასთან, გთხოვთ გამოგვეხმაუროთ;

**მოგვწერეთ:**

თბილისი 380007, გალაქტიონის 17.

დაგვირეკეთ – 98-39-12.

თქვენს მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციები და ფოტომასალა ჯერ გამოქვეყნდება გაზეთ „სარანგში“ რუბრიკით „**ყველა ქართველზე მეტად ქართველი**“, ხოლო შემდეგ აიკინძება წიგნად.

ვყიდი

ხელის საკერავ მანქანას.

დარეკეთ ტელეფონზე: 61—07—57

ინდექსი 66447

ფასი 6 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი